MES 6 21 0000291303

26/03/2021

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომის ოქმი

ქ. თბილისი
სხდომის თარიღი 12.03.2021
სხდომის დაწყების დრო 14:00 სთ
სხდომის დამთავრების დრო: 21:05სთ
საბჭოსთავმჯდომარე- ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანი (I, II, III);
სხდომის თავმჯდომარე - ნინო იმნაძე (IV)
საბჭოს მდივანი - მარიამ შენგელია
სხდომის მდივანი - ეკატერინე ნაცვლიშვილი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულები“ (შემდეგში-აკრედიტაციის დებულება) 33-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.

საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს (შემდგომში საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:

1. **ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანი -** სსიპ ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის მენეჯმენტის სკოლის ხელმძღვანელი - საბჭოს თავმჯდომარე;
2. **ნინო იმნაძე -** სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის დეკანი, ამავე ფაკულტეტის შენობა-ნაგებობის არქიტექტურის მიმართულების სრული პროფესორი - საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
3. **მარიამ შენგელია -** სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი - საბჭოს მდივანი;
4. **ანა ფირცხალაშვილი -** შპს „საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ-ს“ სამეცნიერო კვლევების მიმართულებით ვიცე-რექტორი;

5. გაიანე სიმონია - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სამედიცინო განათლების, კვლევისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის ხელმძღვანელი, გერიატრიის დეპარტამენტის პროფესორი;
6. ნინო ჭალაგანიძე - შპს "კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის" მულტიმედია ცენტრის ხელმძღვანელი, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;
7. გაიოზ ფარცხალაძე - სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტექნოლოგიური ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
8. ელიზბარ ელიზბარაშვილი - ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის საერთო-საუნივერსიტეტო ლაბორატორიული ცენტრის დირექტორი, პროფესორი;
9. ნიკა თიკანაშვილი - ა(ა)იპ - საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაციის საერთაშორისო ურთიერთობების ხელმძღვანელი, შპს "საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის" საინჟინრო ფაკულტეტის დეკანი, ასოცირებული პროფესორი;
10. გიორგი ღაღანიძე - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
11. დავით კაპანაძე - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საგამოცდო ცენტრის უფროსი, პროფესორი;
12. დიანა მჭედლიშვილი - შპს "კავკასიის უნივერსიტეტის" ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის დირექტორი;
13. ეკატერინე ნაცვლიშვილი - შპს "ევროპის უნივერსიტეტის" ასოცირებული პროფესორი;
14. თამარ ჩხეიძე - სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის ასოცირებული პროფესორი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
15. თეონა მატარაძე - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, ასოცირებული პროფესორი;
16. მაკა კაჭარავა - სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ასოცირებული პროფესორი;

სხდომაზე დამსწრე პირები

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები

№	სახელი, გვარი	სტატუსი
1	ანა ჯავახიშვილი	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი
2	თამთა ანთიძე	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი
3	ლალი ოდიშვილი	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები

№	სახელი, გვარი		სტატუსი	საკითხი

		საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება		
1.	ირმა გრძელიძე	სსიპ- ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი	I
2.	ანასტასია ქიტიაშვილი	სსიპ- ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	პროგრამის ხელმძღვანელი, ასოცირებული პროფესორი	I
3.	მანანა მელიქიშვილი	სსიპ- ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი	I
4.	თამარ მანაგაძე	სსიპ- ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	უფროსი სპეციალისტი	I
5	რომეო გალდავა	სსიპ- სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	II
6	ვეფხვია გვარამია	სსიპ- სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ფაკულტეტის დეკანი	II
7	ლალი გაბისონია	სსიპ- სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი	პროფესორი	II
8	ედიშერ ფუტკარაძე	სსიპ- სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი	პროფესორი	II
9	ასმათ გუგავა	სსიპ- სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	II
10	გიმზერ ალანია	სსიპ- სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ასოცირებული პროცესორი	II
11	სოფო გვარამია	სსიპ- სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ასისტენტ პროფესორი	II
12	მამუკა თავხელიძე	შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი	რექტორი	III - IV
13	გულნაზი გალდავა	შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი	რექტორის მოადგილე, სამართლის სკოლის დეკანი	III - IV
14	ვალერი ხრუსტალი			III - IV

		შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი	სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი	
15	ზურაბ ძლიერიშვილი	შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი	საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელი	**III - IV**
16	გიორგი მირიანაშვილი	შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი	პროფესორი	**III - IV**

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტები

№	სახელი, გვარი	ინფორმაცია ელექტრონულიკომუნიკაციის საშუალებითმონაწილეობის შესახებ	საკითხი
1	გიორგი ნიჟარაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	**I**
2	მარიამ ლობჟანიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	**I**
3	ლევან მოსახლიშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	**II**
4	ნინო მესხიშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	**II**
5	ქეთევან ცხადაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	**II**
6	კონსტანტინე ებრალიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	**II**
7	ვახტანგ ჟვანია	(ჩაერთო „ზუმით“)	**III - IV**
8	მაკა კარტოზია	(ჩაერთო „ზუმით“)	**III - IV**
9	ანა გორდეზიანი	(ჩაერთო „ზუმით“)	**III - IV**
10	ნინო ხუბულია	(ჩაერთო „ზუმით“)	**III - IV**

აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანმა.

საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზედამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ, აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების 27^5-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს სხდომა დაიწყო: 14:00 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგის პროექტი:

1. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „გამოყენებითი სოციალური ფსიქოლოგიის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

2. სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის „სამართლის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის „სამართლის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
4. შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის „სამართლის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით

√ **არა**

დამტკიცებული სხდომის დღის წესრიგი

1. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „გამოყენებითი სოციალური ფსიქოლოგიის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის „სამართლის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის „სამართლის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
4. შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის „სამართლის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

პირველი საკითხი: სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „გამოყენებითი სოციალური ფსიქოლოგიის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	გამოყენებითი სოციალური ფსიქოლოგია Applied Social Psychology
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების თარიღი,ნომერი და ვადა	პროგრამა აკრედიტებულია 03.02.2015, №14 გადაწყვეტილებით.
5		-

	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	
6	უმაღლესი განათლების საფეხური	დოქტორანტურა
7	დაშვების წინაპირობა	-
8	კვალიფიკაციის დონე	მერვე
9	კვალიფიკაციის დასახელება	ფსიქოლოგიის დოქტორი Doctor of Psychology
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	
11	დეტალური სფეროს დასახელება	ფსიქოლოგია 0313
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	40 ECTS სასწავლო კომპონენტი. სწავლის სტადარტული ხანგრძლივობა - 6 სემესტრი
14	განხორციელების ადგილი	თსუ მე-3 კორპუსი ჭავჭავაძის გამზირი 11ა, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ აკრედიტაციის საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
აკრედიტაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ კი

მარიამ შენგელიამ, გიორგი ღაღანიძემ და თეონა მატარაძემ პირველ საკითხთან მიმართებით განაცხადეს თვითაცილება. საფუძველს წარმოადგენდა საგანმანათლებლო დაწესებულებასთან შრომითი ურთიერთობა.

საბჭოს თავმჯდომარის გადაწყვეტილებით, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომის მდივნის ფუნქციის შესრულება დაეკისრა საბჭოს წევრს, ეკატერინე ნაცვლიშვილს.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

პირველი საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხლვა

საბჭოს თავმჯდომარემ, სიტყვა გადასცა ექსპერტთა ჯგუფს სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „გამოყენებითი სოციალური ფსიქოლოგიის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამასთან მიმართებით დასკვნაში დაფიქსირებული შეფასებების საბჭოს წევრებისთვის გაზიარების მიზნით.

ექსპერტთა ჯგუფის წევრი, გიორგი ნიჟარაძე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და განაცხადა, რომ სსიპ - ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „გამოყენებითი სოციალური ფსიქოლოგიის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის მიზნით აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი განხორციელდა დისტანციურად Zoom-ის ელექტრონული პლატფორმის მეშვეობით 2021 წლის 11 თებერვალს, წინასწარ განსაზღვრული დღის წესრიგის შესაბამისად. გიორგი ნიჟარაძემ აღნიშნა, რომ ვიზიტი წარიმართა მშვიდ აკადემიურ გარემოში. მან დამატებით აღნიშნა, რომ ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფი შეხვდა უნივერსიტეტის ადმინისტრაციას, (ვიცე-რექტორი, კანცლერი, ხარისხის სამსახურის უფროსი), ფაკულტეტის ადმინისტრაციას, პროგრამის თვითშეფასების ჯგუფს, პროგრამის ხელმძღვანელს, პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს, სტუდენტებს, კურსდამთავრებულებს და დამსაქმებლებს. გადამოწმდა მატერიულური და ტექნიკური აღჭურვილობა, ელექტრონულ ბაზებთან ხელმისაწვდომობა. ვიზიტის დასასრულს აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფმა გააცნო დაწესებულების წარმომადგენლებს პროგრამის შესახებ ჩამოყალიბებული ძირითადი მიგნებები.

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „გამოყენებითი სოციალური ფსიქოლოგიის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა შეფასდა შემდეგნაირად:

პირველისტანდარტი _ საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მეორესტანდარტი _ სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მესამესტანდარტი _ სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა -შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მეოთხესტანდარტი _ სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მეხუთესტანდარტი _ სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

ექსპერტთა ჯგუფის წევრმა გააცნო საბჭოს წევრებს ექსპერტთა ჯგუფის მიერ საგანმანათლებლო პროგრამასთან მიმართებით შემუშავებული რეკომენდაციები:

2.3. კომპონენტთან მიმართებით
სასურველია პროგრამაში გაიწეროს დარგობრივი და საუნივერსიტეტო სასწავლო კურსების ხელმისაწვდომობის შესახებ ინფორმაცია.
4.2. კომპონენტთან მიმართებით
პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალის მოტივაციისა და მათი საქმიანობის აღწერის მიზნით, დისერტაციის ხელმძღვანელობა უნდა ფასდებოდეს აკადემიური საქმიანობის კომპონენტად.

საბჭოს თავმჯდომარემ საკუთარი მოსაზრებების გამოხატვის შესაძლებლობა მისცა უნივერსიტეტის წარმომადგენლებს აღნიშნულ რეკომენდაციებთან დაკავშირებით.

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ირმა გრძელიძე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებულ რეკომენდაციებთან მიმართებით უნივერსიტეტის პოზიცია გააცნო საბჭოს წევრებს. ირმა გრძელიძემ განმარტება გააკეთა პირველ რეკომენდაციასთან დაკავშირებით და განაცხადა, რომ ინსტიტუცია სრულად იზიარებდა აღნიშნულ რეკომენდაციას და დამატებით განმარტა, რომ სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტზე შემუშავების პროცესში იყო აკადემიური პერსონალის (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი) შრომის შეფასებისა და მონიტორინგის წესი, რომელშიც აღნიშნული საკითხი უკვე გათვალისწინებული იყო.

ირმა გრძელიძემ მეორე რეკომენდაციასთან მიმართებით აღნიშნა, რომ სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის კოორდინატორის მიერ სასწავლო სემესტრის დაწყებამდე სტუდენტები ინფორმირებულები იყვნენ დარგობრივი და საუნივერსიტეტო სასწავლო კურსების შესახებ. მან აღნიშნა, რომ დაწესებულება იზიარებდა მოცემულ რეკომენდაციას და მზაობა გამოხატა, რომ პროგრამაში გაიწერებოდა დარგობრივი და საუნივერსიტეტო სასწავლო კურსების ხელმისაწვდომობის შესახებ ინფორმაცია და აღნიშნული კურსები მითითებული იქნებოდა არჩევითი კურსების სახით 10 ECTS ფარგლებში.

ირმა გრძელიძემ ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებულ რჩევასთან მიმართებით აღნიშნა, რომ ძალიან ღირებული რჩევა იყო პროგრამის განვითარებისთვის. მან დამატებით აღნიშნა, რომ პროგრამის განმახორციელებელი გუნდი აუცილებლად იმსჯელებდა მოცემულ საკითხზე და მიიღებდა შესაბამისს გადაწყვეტილებას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ საკუთარი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან მიმართებით.

საბჭოს თავმჯდომარემ, ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანმა აღნიშნა, რომ სასწავლო კომპონენტში სავალდებულო სასწავლო კურსად მოცემული იყო ,,კვლევის მეთოდოლოგია“, რომლისთვისაც გათვალისწინებული იყო 10 კრედიტი, ხოლო არჩევით სასწავლო კურსად მოცემული იყო ,,რაოდენობრივი კვლევის მონაცემების სტატისტიკური დამუშავება“, რომელიც მოიცავდა 5 კრედიტს. ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანმა მიმართა ინსტიტუტის წარმომადგენლებს განემარტათ რა განსხვავება იყო მოცემულ ორ სასწავლო კურსს შორის.

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში, 2.6 კომპონენტთან მიმართებით, აღწერის და შეფასების ნაწილში ყურადღება გამახვილებული იყო სტუდენტების პოზიციაზე, სადაც მათი განმარტებით დაწესებულების მიერ სადოქტორო სასწავლო კურსების ფარგლებში ჯერ-ჯერობით არ ხორციელდებოდა დავალებების აქტიური შემოწმება პლაგიატის ამომცნობ პროგრამა “TURNITIN”-ის მეშვეობით. თუმცა, სტუდენტების განმარტებით ისინი აღნიშნულთან დაკავშირებით ინფორმირებულები იყვნენ.

საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ უნივერსიტეტის აკადემიურ პერსონალს იგივე პოზიცია ჰქონდა ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, თუ პლაგიატის აღმომჩენ რომელ მექანიზმს იყენებდა უნივერსიტეტი სადოქტორო პროგრამის ფარგლებში.

საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა 3.1 კომპონენტთან მიმართებით შემუშავებული რჩევის ციტირება მოახდინა: „სასურველია სამეცნიერო ბაზების გამოყენების უფრო გამარტივებული პროგრამული უზრუნველყოფა და გამოყენების სტატისტიკის წარმოება“. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტთა ჯგუფს დაეზუსტებინათ თუ რა იგულისხმებოდა მოცემულ ჩანაწერში.

საბჭოს თავმჯდომარემ ასევე აღნიშნა, რომ დაწესებულებას ჩატარებული ჰქონდა შრომის ბაზრის კვლევა, რომელშიც მოცემული იყო, რომ გამოკითხვა ჩატარდა „გამოყენებითი სოციალური ფსიქოლოგიის“ სადოქტორო პროგრამის დამსაქმებლებთან, კითხვარი შეავსო დოქტორანტების 9 დამსაქმებელმა, ამათგან 6 ქალი იყო და 3 მამაკაცი. აქედან გამომდინარე, საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, კვლევაში ჩართული იყო დამსაქმებლები როგორც ფიზიკური პირები, თუ აღნიშნული იყო რესპოდენტების სტატისტიკა. გარდა ამისა, საბჭოს წევრი დაინტერესდა თუ რომელი ორგანიზაციების წარმომადგენლების გამოკითხვა მოხდა და რატო დადგა საჭიროება ამ კვლევაში ყურადღება გამახვილებულიყო გენდერზე.

საბჭოს თავმჯდომარემ ასევე ისაუბრა მე-11 დანართთან დაკავშირებით, რომელშიც მოცემული იყო დამსაქმებლის კმაყოფილების კითხვარი და აღნიშნა, რომ შრომის ბაზრის კვლევაშიც ასევე იყო მოცემული დამსაქმებელთა კმაყოფილების კომპონენტები, თუმცა დაწესებულების მარეგულირებელი დოკუმენტით განსაზღვრულ კითხვებზე პასუხი აღნიშნულ დოკუმენტებში არ იყო მოცემული.

საბჭოს თავმჯდომარემ ასევე ყურადღება გაამახვილა ინტერნაციონალიზაციის საკითხზე, კერძოდ დაწესებულებას გააჩნია „გამოყენებითი სოციალური ფსიქოლოგიის“ სადოქტორო პროგრამის ინტერნაციონალიზაციის სტრატეგიის დოკუმენტი 2021-2026 წლებისთვის. აღნიშნულ დოკუმენტში მოცემული იყო ასევე პუნქტი, რომელიც ეხებოდა ინტერნაციონალიზაციის განვითარების სამომავლო ხედვას, სადაც აღნიშნული იყო, რომ მნიშვნელოვანი იყო საერთაშორისო დონორების, ორგანიზაციებისა და უცხოური უნივერსიტეტების შემდგომი ჩართულობა პროგრამის განვითარების პროცესში, რომელშიც მოიაზრებოდა, პროგრამისა და სილაბუსების გადამუშავება. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა გეგმავდა თუ არა დაწესებულება პროგრამისა და სილაბუსების შეცვლას.

საბჭოს თავმჯდომარემ, ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანმა ასვე აღნიშნა, რომ ინსტიტუციას წარმოდგენილი ჰქონდა ორი დოკუმენტი, რომელთაგან ერთ-ერთის ნუმერაცია არის 72017 დანართი 1, რომელიც არის სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის დებულება და მეორე დანართი, 15_PHD დებულება. დოკუმენტების დადარების შედეგად გამოიკვეთა მათ შორის განსხვავებები, თუმცა არც ერთ დებულებაში არ არის მითითებული ხელმოწერა და თარიღი. აქედან გამომდინარე საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, თუ რომელი დებულება იყო ამჟამად მოქმედი.

საბჭოს წევრი, მაკა კაჭარავა მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და აღნიშნა, რომ დოქტორანტმა სწავლის პერიოდში უნდა გამოაქვეყნოს სადისერტაციო თემასთან დაკავშირებული მინიმუმ ორი სტატია, საიდანაც ერთ-ერთი უნდა იყოს რეფერირებად ჟურნალში, ხოლო მეორე Scopus-ში ან web of science-ში ინდექსირებულ რომელიმე ჟურნალში. აქედან გამომდინარე საბჭოს წევრი დაინტერესდა რამდენად მარტივად იყო აღნიშნულის განხორციელება შესაძლებელი მოცემულ დარგში დამწყები მკლევარისთვის. გარდა აღნიშნულისა, საბჭოს

წევრმა აღნიშნა, რომ თვითშეფასების ანგარიშში კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი არ იყო არც მოქმედი პროგრამის შემთხვევაში და არც მიღებული კვალიფიკაციის შესაბამისად, რაც მისი მოსაზრებით საჭიროებდა დაზუსტებას.

საბჭოს წევრმა, მაკა კაჭარავამ მიმართა ექსპერტებს და აღნიშნა, რომ 2.3 კომპონენტში ექსპერტების მიერ განსაზღვრული იყო, რომ სასურველია პროგრამაში გაიწეროს დარგობრივი და საუნივერსიტეტო კურსების ხელმისაწვდომობის შესახებ ინფორმაცია. შესაბამისად საბჭოს წევრი დაინტერესდა თუ კონკრეტულად რას გულისხმობდა მოცემული ჩანაწერი.

საბჭოს წევრმა, გაიოზ ფარცხალაძემ აღნიშნა, რომ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებში არ იყო მოცემული დაცული სადოქტორო ნაშრომების თემატიკის სია.
რაზეც ექსპერტთა ჯგუფის წევრმა მარიამ ლობჟანიძემ განაცხადა, რომ პროგრამას ჯერ-ჯერობით არ ჰყავდა კურსდამთავრებული.

საბჭოს თავმჯდომარემ საკუთარი პოზიციის გამოხატვის შესაძლებლობა მისცა ექსპერტთა ჯგუფს.

ექსპერტთა ჯგუფის წევრი, მარიამ ლობჟანიძე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და განმარტება გააკეთა Turnitin-ის პროგრამასთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ პროგრამას ჯერ-ჯერობით არ ჰყავდა კურსდამთავრებული, თუმცა უნივერსიტეტი სხვა სწავლის საფეხურზე (საბაკალავრო, სამაგისტრო) ახორციელებდა ნაშრომების შემოწმებას. სტუდენტებთან გასაუბრების დროს დადგინდა, რომ ისინი ფლობდნენ ინფორმაციას პლაგიატის მექანიზმებთან დაკავშირებით, თუმცა სწავლების განმავლობაში პლაგიატზე დავალებების შემოწმება არ განხორციელებულა. რაც შეხება თავად სადოქტორო ნაშრომს, როგორც სტუდენტებმა, ისე უნივერსიტეტის წარმომადგენლემა ინტერვიურების ფარგლებში განაცხადეს, რომ სადოქტორო ნაშრომი პლაგიატის შემოწმებას გაივლიდა უშუალოდ სადოქტორო ნაშრომის დაცვამდე.

რაც შეეხება სამეცნიერო ბაზების სტატისტიკის წარმოებას, სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ მათ ჰქონდათ სამეცნიერო ბაზებთან წვდომა, თუმცა გამოყენების სახელმძღვანელო იმდენად რთული იყო, რომ სტუდენტების მოსაზრებით უკეთესი იქნებოდა, რომ უფრო მარტივი საშუალებებით ჰქონდეთ შესაძლებლობა მოიძიონ საინფორმაციო სტატიები.

საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა ექსპერტთა ჯგუფის წევრს, თუ რატომ ჩათვალა ექსპერტთა ჯგუფმა პლაგიატის ამომცნობი პროგრამის Turnitin-ის არ გამოყენება რჩევად და არა რეკომენდაციად.

რაზეც ექსპერტთა ჯგუფის წევრმა აღნიშნა, რომ რომ პროგრამას ჯერ ჯერობით არ ჰყავდა კურსდამთავრებული და სწორედ ამ მიზეზით, პროგრამის განვითარებისთვის შეიმუშავა ექსპერტთა ჯგუფმა რჩევა.

მარიამ ლობჟანიძემ განაცხადა, რომ 2.3 კომპონენტის რეკომენდაცია ძირითადად ეხებოდა არჩევით სასწავლო კურსებს, რადგან პროგრამაში დეტალურად და გასაგებად არ იყო გაწერილი დარგობრივი და საუნივერსიტეტო სასწავლო კურსების ხელმისაწვდომობის შესახებ ინფორმაცია.

საბჭოს წევრი, ელიზბარ ელიზბარაშვილი დაინტერესდა თუ რა იყო მიზეზი იმისა, რომ დაწესებულებას ამ დროისთვის არ ჰყავდა კურსდამთავრებული.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ირმა გრძელიძემ განმარტა, რომ დაწესებულებას ჰქონდა შემუშავებული საუნივერსიტეტო სადოქტორო სტანდარტი, რომელიც აწესებდა ძირითად მინიმალურ მოთხოვნებს ყველა საგანმანათლებლო პროგრამისთვის. უნივერსიტეტში 50 სადოქტორო პროგრამაა. მან აღნიშნა, რომ მინიმალური სტანდარტის გათვალისწინებით, ,,კვლევის მეთოდოლოგიის" 10 კრედიტიანი კურსი იყო სავალდებულო მოთხოვნა, რომელიც დაფუძნებული იყო მრავალრიცხოვან საერთაშორისო ექსპერტებთან კონსულტაციის შედეგად და სავალდებულოთ იყო გაწერილი, რომ ყველა პროგრამაში უნდა იყოს კვლევის მეთოდოლოგია.

ირმა გრძელიძემ განმარტება გააკეთა პლაგიატის ამომცნობ პროგრამასთან დაკავშირებით და განაცხადა, რომ აღნიშნული საკმაოდ ინტენსიურად გამოიყენებოდა უნივერსიტეტის ფარგლებში. აღნიშნული მიმართულებით ცვლილებები შევიდა ყველა რეგულაციაში, როგორც სადოქტორო, ასევე სამაგისტრო და საბაკალავრო საფეხურზე. ირმა გრძელიძემ განმარტა, რომ პლაგიატის საწინააღმდეგო პროგრამის იმპლემენტაცია დაიწყო 2019 წლიდან. მან დამატებით განმარტა, რომ პანდემიამ მოცემული პროცესის განვითარებას შეუწყო ხელი, იმ თვალსაზრისით, რომ თუ, 2020 წლის დასაწყისისთვის იყო 3000-მდე ატვირთული ფაილი, 2020 წლის დასასრულისკენ, მოცემული იყო 97 000-მდე ატვირთული ფაილი, რაც გულისხმობდა იმას, რომ აღნიშნული მექანიზმი გამოიყენებოდა არა მხოლოდ შემაჯამებელ ეტაპზე, არამედ სრულიად სასწავლო პროცესის განმავლობაში. ირმა გრძელიძემ განაცხადა, რომ აღნიშნული პროგრამა საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში იყო აკრედიტაციის რეჟიმში. მან დამატებით განაცხადა, რომ პროგრამის ყველა სასწავლო კურსში ჩაშენებული იყო Turnitin-ის პროგრამა. მისი განმარტებით, სტუდენტები პროგრამას გამოცდიან არა მარტო დისერტაციის დაცვის დროს, არამედ, ყველა სემესტრის განმავლობაში სასწავლო კურსის გავლის დროს.

ირმა გრძელიძემ მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს და საბჭოს წევრებს პროგრამის დეტალური განხილვისათვის და განმარტება გააკეთა სამეცნიერო ბაზების გამოყენების პროგრამული უზრუნველყოფისა და გამოყენების სტატისტიკის წარმოების გამარტივებაზე. მან აღნიშნა, რომ უნივერსიტეტში ფუნქციონირებდა მრავალფეროვანი სამეცნიერო ბაზა, რომელიც ხელმისაწვდომი იყო როგორც აკადემიური პერსონალისთვის, ასევე სტუდენტებისთვის. სამეცნიერო ბაზები მხარდაჭერილი და ხელმისაწვდომი იყო როგორც დაწესებულების ბიბლიოთეკიდან, ასევე დაწესებულების ფარგლებს გარეთ. მან განაცხადა, რომ ის სტუდენტები, რომლებთანაც გასაუბრება ჰქონდათ ექსპერტთა ჯგუფს არ იყვნენ აქტიური სტუდენტები და ისინი აქტიურად არ იყვნენ ჩართულნი სასწავლო პროცესში, ამიტომაც შესაძლებელია მათ სჭირდებოდეთ ამ კუთხით დამატებითი მხარდაჭერა. რაც შეეხება სტატისტიკას, მან აღნიშნა, რომ სტატისტიკის წარმოება ზოგადი ხასიათის იყო.

ირმა გრძელიძემ განაცხადა, რომ პროგრამამ აკრედიტაცია გაიარა 2015 წელს. სტუდენტები ცდილობდნენ აქტიურად ყოფილიყვნენ ჩართულნი სადოქტორო საფეხურზე, თუმცა მისი განმარტებით, არ არის მარტივი სადოქტორო საფეხურის 3 წელიწადში დასრულება. სწორედ ამ მიზეზით პროგრამას არ ჰყავდა კუსრდამთავრებულები.

ირმა გრძელიძემ განმარტება გააკეთა ინტერნაციონალიზაციასთან მიმართებით და განაცხადა, რომ ინტერნაციონალიზაცია არის რამდენიმე ტიპის. ინტერნაციონალიზაცია, რომელიც ეხებოდა მობილობას, შეთავაზებული იყო როგორც აკადემიური პერსონალისთვის, ასევე სტუდენტებისთვის. მეორე კი, კურიკულუმის ინტერანციონალიზაცია, რაც გულისხმობდა,

პროგრამის ყველა შესაძლო განვითარებასა და გაუმჯობესებას მხარდამჭერი პარტნიორი ინსტიტუციების მხრიდან. მისი განმარტებით პროგრამის გადამუშავება გულისხმობდა სწავლის შედეგების ცვლილებას, სილაბუსებში კი ლიტერატურის განახლებას, ხოლო პროგრამაში კონკრეტული სასწავლო კურსის დახვეწას, რაც გამოწვეული იყო დარგის განვითარებით.

პროგრამის ხელმძღვანელი, ანასტასია ქიტიაშვილი მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და ისაუბრა კვლევის მეთოდოლოგიასთან დაკავშირებით და განმარტა, რომ კვლევის მეთოდოლოგია არის ფართო მიდგომა, რომელიც აერთიანებდა მონაცემთა შეგროვების, ანალიზისა და დამუშავების მთელ ციკლს. რაოდენობრივი კვლევის მეთოდები პირდაპირ იყო გაწერილი სწავლის შედეგებში და ძირითადად მუშაობა ხდებოდა SPSS მეთოდით. პროგრამაში გაწერილია, როგორც თვისობრივი კვლევის მეთოდები ასევე რაოდენობრივი კვლევის მეთოდები, რომლებიც საკმაოდ გაღრმავებულ და კონკრეტულ სპეციფიკას ითვალისწინებდნენ.

ანასტასია ქიტიაშვილმა შრომის ბაზრის კვლევასთან დაკავშირებით განმარტება გააკეთა და აღნიშნა, რომ შრომის ბაზრის კვლევის საფუძველზე არსებულ გამოკითხვაში რა თქმა უნდა მონაწილეობას იღებდნენ ფიზიკური პირები, მან განმარტა, რომ ორგანიზაციის უკან იდგნენ კონკრეტული რესპოდენტები. მან განმარტა, რომ „გამოყენებითი სოციალური ფსიქოლოგიის“ პროგრამის დამსაქმებელთა გამოკითხვის ფორმაში ერთ-ერთ კომპონენტს წარმოადგენდა რესპოდენტის ასაკისა და სქესის მითითება, სწორედ აქედან გამომდინარეობდა აღნიშნულ მონაცემებზე ყურადღების გამახვილება შრომის ბაზრის კვლევაში. პროგრამის ხელმძღვანელმა ასევე აღნიშნა, რომ ამჟამად პროგრამაზე სწავლობდა 16 სტუდენტი, რომელთაგან 3 მიმდინარე სემესტრში გეგმავდა სადოქტორო ნაშრომის დაცვას.

პროგრამის ხელმძღვანელმა, ანასტასია ქიტიაშვილმა ასევე აღნიშნა, რომ სტატიების გამოქვეყნების ვალდებულება გამომდინარეობდა სტანდარტის მოთხოვნებიდან. მან დამატებით აღნიშნა, რომ სტატიების გამოქვეყნება შესაძლებელი იყო როგორც ინდივიდუალურად, ასევე ხელმძღვანელთან ერთად.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 14:50
დასრულების დრო: 15:12

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:
სააკრედიტაციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე სხდომაზე დაინტერესებული მხარის ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება, კერძოდ, 2.3 და 4.2 კომპონენტები, ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ შეფასდა როგორც „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“. საბჭომ ორი რეკომენდაცია გადაიტანა რჩევაში და ასევე დაამატა ერთი რჩევა.

საბჭომ რჩევებში გადაიტანა შემდეგი რეკომენდაცია:
1.სასურველია პროგრამაში გაიწეროს დარგობრივი და საუნივერსიტეტო სასწავლო კურსების ხელმისაწვდომობის შესახებ ინფორმაცია;
2. პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალის მოტივაციისა და მათი საქმიანობის აღწერის მიზნით, დისერტაციის ხელმძღვანელობა უნდა ფასდებოდეს აკადემიური საქმიანობის კომპონენტად.

საბოლოოდ დაწესებულებას განესაზღვრა შემდეგი რჩევები:
1.სასურველია პროგრამაში გაიწეროს დარგობრივი და საუნივერსიტეტო სასწავლო კურსების ხელმისაწვდომობის შესახებ ინფორმაცია;
2. პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალის მოტივაციისა და მათი საქმიანობის აღწერის მიზნით, დისერტაციის ხელმძღვანელობა უნდა ფასდებოდეს აკადემიური საქმიანობის კომპონენტად;
3. გადაიხედოს სტუდენტებისა და ხელმძღვანელების თანაფარდობა.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „გამოყენებითი სოციალური ფსიქოლოგიის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამისთვის 7 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნტქის, მე-3 და მე-3^1 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 3^1 პუნ ქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „გამოყენებითი სოციალური ფსიქოლოგიის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით.

მეორე საკითხი: სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის „სამართლის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	სამართალი Law
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული

4	სტატუსის გათვალისწინებით აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების თარიღი,ნომერი და ვადა	პროგრამა აკრედიტებულია 11.12.2012, №768 გადაწყვეტილებით.
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობა	-
8	კვალიფიკაციის დონე	მეექვსე
9	კვალიფიკაციის დასახელება	სამართლის ბაკალავრი Bachelor of Laws
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება	სამართალი, 0421
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	ა.პოლიტოვსკაიას ქ. N61, 0186 საქართველო, ქ.თბილისი.
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ აკრედიტაციის საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა

აკრედიტაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ კი

თვითაცილება განაცხადა:

მაკა კაჭარავამ მეორე საკითხთან მიმართებით განაცხადა თვითაცილება. საფუძველს წარმოადგენდა საგანმანათლებლო დაწესებულებასთან შრომითი ურთიერთობა.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს/სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

საბჭოს წევრი, ანა ფირცხალაშვილი 15:20 საათზე შემოუერთდა საბჭოს სხდომას

მეორე საკითხის ზეპირი მოსმენა

საბჭოს თავმჯდომარემ, სიტყვა გადასცა ექსპერტთა ჯგუფს საგანმანათლებლო პროგრამასთან მიმართებით დასკვნაში დაფიქსირებული შეფასებების საბჭოს წევრებისთვის გაზიარების მიზნით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, ლევან მოსახლიშვილი მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და განაცხადა, რომ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი განხორციელდა 2020 წლის 18 თებერვალს. ინტერვიუირების პროცესი მიმდინარეობდა წინასწარ გაწერილი დღის წესრიგის მიხედვით 10:00 სთ-დან 18:00 სთ-მდე დისტანციური ფორმატით, ელექტრონული კომუნიკაციების (პროგრამა ზუმით) საშუალებით. ვიზიტი გაიმართა კონსტრუქციულ გარემოში, ადმინისტრაცია მზად იყო თანამშრომლობისათვის, რაც გამოიხატა როგორც ექსპერტების მიერ დასმულ შეკითხვებზე პასუხების განმარტებისა და სხვადასხვა პანელზე მონაწილე პირების დასწრების უზრუნველყოფის, ასევე ექსპერტების მიერ მოთხოვნილი დამატებითი ინფორმაციის/დოკუმენტაციის წარმოდგენაში.

პირველ პანელში ინტერვიუ შედგა უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან. განმარტებული იქნა უნივერსიტეტის ფუნქციონირებასთან, პროგრამის შემუშავებასა და პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული სხვადასხვა ასპექტები. ვიზიტის მომდევნო პანელში ინტერვიუ შედგა თვითშეფასების ჯგუფთან შეხვედრას და განმარტებული იქნა სამართლის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციისათვის მომზადების პროცესი და მასში სხვადასხვა პირთა ჩართულობა. ვიზიტის მესამე პანელში ინტერვიუ შედგა საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელებთან და განმარტებული იქნა პროგრამასთან დაკავშირებული სხვადასხვა მნიშვნელოვანი ასპექტები. შემდგომ შედგა შეხვედრები აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან დამოუკიდებელ პანელებში. მომდევნო პანელების ფარგლებში ინტერვიუები ჩატარდა საბაკალავრო პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან. სამუშაო დღის ბოლოს შედგა შეხვედრა ბიბლიოთეკის წარმომადგენელთან. ვიზიტის მეორე დღეს ინტერვიუ შედგა დამსაქმებელთან. ამავე დღეს განხორციელდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერებას ონლაინ რეჟიმში (საჯარო სამართლის ლაბორატორია, კრიმინალისტიკის ლაბორატორია, ფაკულტეტის ბიბლიოთეკა, დიპლაბი); სამუშაო დღის ბოლოს ექსპერტთა ჯგუფმა უნივერსიტეტის წარმომადგენლებს გაუზიარა სამართლის საბაკალავრო პროგრამის შესახებ ვიზიტის საფუძველზე ექსპერტთა ჯგუფის მიერ ჩამოყალიბებული ძირითადი მიგნებები.

სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის „სამართლის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა ასე შეფასდა:

პირველისტანდარტი _ საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მეორესტანდარტი _ სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მესამესტანდარტი _ სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა -შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მეოთხესტანდარტი _ სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მეხუთესტანდარტი _ სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:

2.3. სტანდარტთან მიმართებაში - რეკომენდირებულია სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის რიგი სასწავლო კურსების სილაბუსების გადახედვა ლიტერატურის განახლებისა და ნორმატიული მასალის კონკრეტიზაციის მიზნით;
2.5. სტანდარტთან მიმართებაში - რეკომედირებულია სწავლება-სწავლის მეთოდები რიგ სასწავლო კურსებში გადაიხედოს სასწავლო კურსის მიზნისა და შედეგის გათვალისწინებით;
2.6. სტანდარტთან მიმართებაში -რეკომენდირებულია უსდ-მ დანერგოს სტუდენტთა შეფასების გასაჩივრების მოქნილი მექანიზმი, მოახდინოს აღნიშნული მექანიზმის სასწავლო პროცესში ინტეგრირება და აღნიშნულის შესახებ სტუდენტთა ინფორმირება;
4.1. სტანდარტთან მიმართებაში - რეკომენდირებულია პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის შემადგენლობის განახლება, რომელთა კვალიფიკაციაც დადასტურდება პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისთვის აუცილებელი ცოდნის, გამოცდილებისა და კომპეტენციის ქონით;
4.2. სტანდარტთან მიმართებაში
· რეკომენდირებულია უნივერსიტეტმა უზრუნველყოს სამეცნიერო პერსონალის სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის შეფასება და ანალიზის პრაქტიკაში განხორციელება;
· გაძლიერდეს აკადემიური და მოწვეული პერსონალი ჩართულობა და მხარდაჭერა სამეცნიერო, კვლევითი, პროფესიული განვითარების პროგრამებსა და საერთაშორისო გაცვლით პროგრამებში;
4.3. სტანდარტთან მიმართებაში - რეკომენდირებულია სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის როგორც პერსონალს, ასევე სტუდენტებს გააჩნდეთ საკანონმდებლო ბაზასთან უშუალო წვდომის შესაძლებლობა. უნივერსიტეტმა უნდა შეიძინოს „საკანონმდებლო მაცნე“- ს ის ვერსია ან ჩართოს ავტორიზებული მომხმარებლების ის რაოდენობა, რაც საშუალებას მისცემს მომხმარებლებს დამოუკიდებლად და შეუფერხებლად ისარგებლონ ვებ-გვერდის სერვისებით, როგორც უნივერსიტეტიდან, ისე უნივერსიტეტის ფარგლებს გარედან;
5.1. სტანდარტთან მიმართებაში - რეკომენდირებულია შემუშავდეს აკადემიური პერსონალის შეფასების ეფექტური მექანიზმი და შესაბამისად განხორციელდეს შედეგების ანალიზი.

საბჭოს თავმჯდომარემ საკუთარი მოსაზრებების გამოხატვის შესაძლებლობა მისცა უნივერსიტეტის წარმომადგენლებს აღნიშნულ რეკომენდაციებთან დაკავშირებით.

პროგრამის ხელმძღვანელი, ვეფხია გვარამია მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს თანამშრომლობისთვის და განმარტება გააკეთა სილაბუსებთან დაკავშირებით, კერძოდ აღნიშნა, რომ ზოგად ადმინისტრაციულ სამართალში სავალდებულო ლიტერატურად მითითებული იყო პ. ტურავას უახლესი სახელმძღვანელო, რომელიც 2020 წელს იყო გამოცემული, ამასთან ერთად მითითებული იყო პ. ტურავასა და ნ. წკეპლაძის თანაავტორობით გამოცემული სახელმძღვანელოს ძველი რედაქცია. მან განმარტა, რომ სასწავლო კურსების სილაბუსებში სავალდებულო და ძირითად ლიტერატურად მითითებული იყო უახლესი ლიტერატურა და ასევე უახლესი საკანონმდებლო მასალა. მან დამატებით განაცხადა, რომ ამ მხრივ დაწესებულება მიიჩნევდა, რომ აღნიშნული გარემოებები გათვალისწინებული უნდა იქნას ექსპერტთა ჯგუფის მიერ.

ვეფხია გვარამიამ ასევე განმარტება გააკეტა 2.3 კომპონენტთან არსებულ მეორე რეკომენდაციასთან მიმართებით და განაცხადა, ის გარემოება, რომ საერთაშორისო სისხლის სამართლის კურსის სავალდებულო ლიტერატურას შორის არ იყო მითითებული ინგლისურ ენაზე არცერთი სახელმძღვანელო და მითითებული იყო ქართულენოვანი სახელმძღვანელო,

აღნიშნული დასტურდებოდა სილაბუსით. რაც შეეხება კლაუს კრესის (რომელიც კიოლნის უნივერსიტეტის პროფესორია) ნაშრომს აგრესიის დანაშაულზე სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს იურისდიქციის ამოქმედების შესახებ.“ ეს ნაშრომი ქართულ ენაზე გამოქვეყნებული და ხელმისაწვდომი იყო.

ვეფხია გვარამიამ განმარტება გააკეთა ნორმატიულ მასალასთან დაკავშირებით და განაცხადა, რომ სილაბუსში მითითებული იყო დამატებითი ნორმატიული მასალა ლიტერატურის ნაწილში, აღნიშნული კი ტექნიკურ ხარვეზს წარმოადგენდა.

მან დამატებითა აღნიშნა, რომ ინსტიტუცია მუდმივად ცდილობდა დააკმაყოფილოს თანამედროვე ბაზრის მოთხოვნები და განავითაროს პროგრამები. დაწესებულება აქტიურად მონაწილეობდა საერთაშორისო პროექტებში. მან აღნიშნა, რომ ჰააგის ტრიბუნალზე უნივერსიტეტის გუნდმა 5-ჯერ მიიღო მონაწილეობა და დაიმსახურა უმაღლესი შეფასება.

ვეფხია გვარამიამ განმარტება გააკეთა საჩივრების სისტემის არსებობის საკითხთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტის დებულების გარდა, მოქმედებდა: 1. სსიპ სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში გამოცდების ჩატარების ინსტრუქცია, რომელიც დამტკიცდა წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ 2019 წლის პირველ მაისში, აღნიშნული ითვალისწინებდა, როგორც დასკვნითი ისე შუალედური შეფასების (გამოცდის) ჩატარების წესს,. სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში გამოცდების ჩატარების ინსტრუქციას თან ერთვოდა დანართი 1, რომელშიც მოცემული იყო დამკვირვებელთა უფლებები. 3. სსიპ სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში გამოცდების ჩატარების ინსტრუქციას თან ერთვოდა დანართი 2, რომელშიც მოცემული იყო საგამოცდო პროცესის მარეგულირებელი წესი. მან განაცხადა, რომ სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში გამოცდების ჩატარების ინსტრუქცია განთავსებული იყო უნივერსიტეტის და ფაკულტეტის გვერდზე, რაც საჯაროდ ხელმისაწვდომი იყო. მან დამატებით აღნიშნა, რომ სტუდენტის მიერ თავისი ნაშრომის ხელმეორედ გასწორების მოთხოვნის შემთხვევაში ფაკულტეტის ადმინისტრაცია ვალდებულია შექმნას კომისია შესაბამისი მიმართულების წევრებისაგან, რომელშიც არ მიიღებდა მონაწილეობას გამსწორებელი პირი. შუალედური და დასკვნითი გამოცდის გარდა, სტუდენტთა შეფასებასთან დაკავშირებული საკითხები აქტივობის ფარგლებში, შეადგენდა სასწავლო პროცესის შემადგენელ ნაწილს, რომელიც მიმდინარეობდა ფაკულტეტზე. ვეფხია გვარამიამ აღნიშნა, რომ სასწავლო პროცესის ეფექტურ მიმდინარეობას უზრუნველყოფდა დეკანი, რომელსაც სამართლისა და დიპლომატიის ფაკულტეტის დებულების მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის ე) ქვეპუნქტის შესაბამისად დეკანს უფლება აქვს ინდივიდუალური საკითხების გადასაწყვეტად გამოსცეს ინდივიდუალურ ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტები, ბრძანებები, რომლითაც რეგულირდება ფაკულტეტის ფარგლებში სასწავლო და სამეცნიერო საქმიანობასთან დაკავშირებული ყველა სამართლებრივი საკითხი. აღნიშნული ნორმა დეკანს აძლევდა საშუალებას შეექმნა კომისია სტუდენტის პრეტენზიის არსებობის შემთხვევაში, რათა გადამოწმდეს და შეფასდეს სტუდენტის სხვა აქტივობებიც.

დაწესებულების წარმომადგენელმა ასევე ისაუბრა სასწავლო კურსის მეთოდების კურსის შინაარსთან შესაბამისობასთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ სილაბუსში გარდა ღია კითხვებისა და ზეპირი გამოკითხვისა გამოყენებული იყო შეფასების სხვა მეთოდებიც, კერძოდ, კაზუსის ამოხსნა და იმიტირებული პროცესი. მან დამატებით აღნიშნა, რომ სილაბუსი თემატურად ისე იყო შედგენილი, რომ 15 სასწავლო კვირის ფარგლებში, სტუდენტს შესაძლებლობა ჰქონდა მოესმიინა სასამართლო საპროცესო დოკუმენტების, როგორც თეორიული ისე პრაქტიკული სწავლება, რომელიც გათვალისწინებული იყო საპროცესო კანონმდებლობით და გამოიყენება პრაქტიკულ საქმიანობაში, ანუ სილაბუსში შერწყმულია

საპროცესო დოკუმენტების სწავლების და მათი შედგენის (წარმოების) თეორიული და პრაქტიკული კომპონენტები. მან განაცხადა, რომ ღია კითხვა და ზეპირი გამოკითხვა ემსახურებოდა თეორიული სახით მიცემული საკითხების აღქმასა და გაგებას, ხოლო ამავე სილაბუსში მითითებული კაზუსების ამოხსნა და იმიტირებული პროცესები ემსახურებოდა პრაქტიკულად დოკუმენტების შედგენაზე მუშაობას. მაგ. კაზუსების ამოხსნისას კაზუსში სტუდენტის მიერ მოხდეს მიგნება, რამდენად სწორად იყო შედგენილი კაზუსში მითითებული ესა თუ ის სამართლებრივი პროცესუალური დოკუმენტი, გაასწოროს ან/და თავად შეადგინოს კაზუსში ხელოვნურად დაშვებული შეცდომა. ყოველ კონკრეტულ თემაზე, პრაქტიკული მეცადინეობის დროს სტუდენტს მიეწოდებოდა კონკრეტული კაზუსი, სადაც ყურადღება გამახვილებული იყო ლექციის ახსნილ შესატყვის პროცესუალურ დოკუმენტზე. რაც შეეხება იმიტირებულ პროცესს სტუდენტები, დამოუკიდებლად მუშაობდნენ და ადგენდნენ პროცესუალურ დოკუმენტებს და წარმართავდნენ იმიტირებულ პროცესს, რაც ზეპირი კონსულტაციის გარეშე წარმოუდგენელიციყო. მან განმარტება გააკეთა პროგრამის ბიუჯეტთან დაკავშირებით და განაცხადა, რომ ხშირად ხდებოდა აკადემიური პერსონალის საერთაშორისო პროექტებში მონაწილეობის დაფინანსება, რაც ასევე ასახული იყო პროგრამის თვითშეფასებაში. მან განაცხადა, რომ დაწესებულებამ 80 000 ლარი მიიღო 2018 წელს აფხაზეთის მთავრობიდან გრანტის სახით, რის შედეგადაც საქართველოში ჩამოყვანილი იქნა სისხლის სამართლის ტრიბუნალის 2 პროკურორი, მოსამართლე. მან დამატებით აღნიშნა, რომ 2018 წელს უნივერსიტეტის ორგანიზებით ჩატარდა კონფერენცია, რომელმაც საკამოდ დიდი მასშტაბები მოიცვა. აღსანიშნავია ასევე, რომ 2019 წლის 4 დეკემბერს უნივერსიტეტში ჩატარდა საერთაშორისო კონფერენცია ევროპული ინტეგრაციის საკითხებზე ადამიანის უფლებებთან დაკავშირებით. კონფერენციაში 19 აკადემიური პერსონალიდან 13-მა მიღო მონაწილეობა აღნიშნულ კონფერენციაში.

ვეფხია გვარამიამ აღნიშნა, რომ 2014 წლის კონფერენცია მთლიანად უნივერსიტეტის მიერ იქნა დაფინანსებული. 2018 წლის კონფერენციას, რომელსაც 20 ქვეყნის წარმომადგენელი ესწრებოდა, უნივერსიტეტის ფინანსური მხარდაჭერით ასევე მოწვეული იქნა საერთაშორისო ექსპერტი, რომელიც სრულ პროცესს აკვირდებოდა.

მან ყურადღება გაამახვილა აკადემიური პერსონალის გამოცდილებაზე და განაცხადა, რომ კერძო სამართლის 19 აკადემიური პერსონალიდან ექვსს ჰქონდა საადვოკატო გამოცდილება. მან დამატებით აღნიშნა, რომ აკადემიური პერსონალი მუდმივად ჩართული იყო როგორც დაწესებულების მიერ ორგანიზებულ, ასევე საერთაშორისო ღონისძიებებში.

ვეფხია გვარამიამ განმარტება გააკეთა პროგრამის დადარების საკითხთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ პროგრამის ხელმძღვანელი და თანახელმძღვნელი ამ მიზნით ჩასულები იყვნენ გრაცში, სადაც განხორციელდა პროგრამის დეტალური დადარება გრაცის უნივერსიტეტის პროგრამებთან.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრმა, გიორგი ღაღანიძემ მიმართა ექსპერტებს და აღნიშნა, რომ 2.3 კომპონენტთან დაკავშირებით არსებულ რეკომენდაციში მოცემული იყო რომ ზოგიერთი სასწავლო კურსი, კერძოდ: ,,ზოგადი ადმინისტრაციული სამართლის", ,,სამოხელეო სამართლის", ,,განათლების სამართლის" და ,,საერთაშორისო სისხლის სამართლის" სილაბუსები მოითხოვდა დაზუსტებას და ნორმატიული მასალის დამატებას, რომელიც ექსპერტების მიერ წარმოთქმულ მოსაზრებას იმასთან დაკავშრებით, რომ აკადემიური პერსონალის კომპეტენცია დასტურდებოდა, ეწინააღმდეგებოდა 4.1 კომპონენტთან მიმართებით არსებულ რეკოემნდაციას. გარდა აღნიშნულისა, 2.5 კომპონენტში მოცემული იყო, რომ ზოგიერთი სასწავლო კურსით ვერ

ხდებოდა სწავლის შედეგების უზრუნველყოფა, რომელშიც ასევე ფიგურირებდა ,,ზოგადი ადმინისტრაციული სამართალი“. საბჭოს წევრმა, გიორგი ღაღანიძემ ექსპერტთა ჯგუფისგან მოითხოვა მოცემული საკითხების განმარტება.

საბჭოს წევრმა, გიორგი ღაღანიძემ აღნიშნა, რომ იგი დეტალურად გაეცნო შრომის ბაზრის კვლევას, სადაც მოცემული იყო, რომ გამოიკითხა 120 სტუდენტი, 35 კურსდამთავრებული, 30 აკადემიური და მოწვეული პერსონალი და 14 დამსაქმებელი. შესაბამისად, საბჭოს წევრი დაინტერესდა თუ რა მიზნით მოხდა სტუდენტების გამოკითხვა შრომის ბაზრის კვლევის ფარგლებში. გიორგი ღაღანიძემ განმარტა, რომ შრომის ბაზარი არის მოთხოვნის მხარე, დამსაქმებლები და მიწოდების მხარე, ანუ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები. მან აღნიშნა, რომ შრომის ბაზარი ეხებოდა მოთხოვნის მხარის კვლევას, შესაბამისად, სავსებით შესაძლებელი იყო კურსდამთავრებულების ჩართვა კვლევის ნაწილში, რაც დაეხმარებოდა უნივერსიტეტს სწორი კვლევითი ჰიპოთეზის ჩამოყალიბებაში. გიორგი ღაღანიძემ კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს 14 დამსაქმებლის გამოკითხვა რამდენად აძლევდა დაწესებულებას წარმოდგენას თუ რა ხდება საქართველოს შრომის ბაზარზე.

გარდა ამისა, საბჭოს წევრმა აღნიშნა, რომ ბიუჯეტში იკვეთებოდა ტექნიკური ხარვეზი, კერძოდ ნაცვლად 2021 წლისა მოცემულია 1921, რაც საჭიროებს გამოსწორებას.

საბჭოს თავმჯდომარემ ასევე მიმართა ექსპერტებს და აღნიშნა, რომ 2.4 კომპონენტთან მიმართებით, აღწერა შეფასების ნაწილში, ტექსტში არის ჩანაწერი, რომლის მიხედვითაც, აკრედიტაციის სტანდარტების და სამართლის დარგობრივი მახასიათებლების სულისკვეთების გათვალისწინებით, სასურველი იქნება ისეთი მემორანდუმებისა და შეთანხმებების გაფორმება, რომელიც გაითვალისწინებს სტუდენტების სავარაუდო რაოდენობას, მიმართულებებს და დასაქმების ხანგრძლივობას. შესაბამისად, საბჭოს წევრი დაინტერესდა აღნიშნული მითითება უნდა იყოს უბრალოდ ჩანაწერი თუ უნდა შეიცვალოს ფორმულირება და ამ ჩანაწერს მიეცეს რჩევის ან რეკომენდაციის სახე.

საბჭოს წევრმა, გაიოზ ფარცხალაძე აღნიშნა, რომ რიგ სილაბუსებში, დამატებით ლიტერატურის ნაწილში მოცემული იყო რუსულენოვანი სახელმძღვანელოები. შესაბამისად, საბჭოს წევრმა დააზუსტა, თუ რამ გამოიწვია სილაბუსებში რუსულენოვანი სახელმძღვანელოების მითითება.

საბჭოს წევრმა, ეკატერინე ნაცვლიშვილმა ისაუბრა ექსპერტების მიერ მე-5 კომპონენტთან დაკავშირებით განსაზღვრულ რეკომენდაციაზე, რომელიც ეხებოდა პერსონალის შეფასების მექანიზმებს. საბჭოს წევრი დაინტერესდა თუ რა მექანიზმები ჰქონდა შემუშავებული დაწესებულებას და როგორ ხდებოდა აკადემიური პერსონალის შეფასება. მან დამატებით აღნიშნა, რომ სტუდენტების გამოკითხვის შედეგად იკვეთებოდა, რომ სწავლების მეთოდები იყო ტრადიციული და სტუდენტებს ჰქონდათ სურვილი, რომ სასწავლო კურსები ხორციელდებოდეს ინტერაქტიული მეთოდებით. მან ყურადღება გაამახვილა სწავლის მეთოდებზე სასწავლო კურსებში, რომლებიც თითქმის იდენტური იყო და არ მოიცავდა ინტერაქტიულ აქტივობებს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ლევან მოსახლიშვილმა განმარტა მემორანდუმების საკითხი და აღნიშნა, რომ სტანდარტის მიხედვით, დარგობრივ მახასიათებელში მოცემული იყო, რომ როდესაც დაწესებულებას გაფორმებული ჰქონდა მემორანდუმები და შეთანხმებები დამსაქმებლებთან და სასწავლო კურსი სავალდებულო ხასიათის იყო და ითვალისწინებდა

გარე პრაქტიკას, დაწესებულება ვალდებული იყო ზუსტად ჰქონოდა გაწერილი და გათვალისწინებული პროგრამაში სტუდენტების სავარაუდო რაოდენობა, დასაქმების მიმართულებები და დასაქმების ხანგრძლივობა, აქედან გამომდინარე მისი განმარტებით პროგრამაში ზემოაღნიშნული საკითხის არ გათვალისწინების შემთხვევაში ეს კომპონენტი ექსპერტთა ჯგუფის მიერ მიიღებდა რეკომენდაციის ხასიათის შეფასებას, რადგან მისი განმარტებით პრაქტიკა ნიშნავდა სავალდებულო კომპონენტს, ხოლო როდესაც დაწესებულებას გაფორმებული ჰქონდა მემორანდუმი, რომელიც გარე პრაქტიკას არ ითვალისწინებდა, მაშინ აღნიშნული საკითხი ექსპერტთა ჯგუფის მიერ მიიღებდა რჩევის ხასიათის შეფასებას.

ლევან მოსახლიშვილმა, სილაბუსებში მითითებულ ძირითად და დამატებით ლიტერატურასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ რიგ სილაბუსებში უნივერსიტეტის მიერ მოხდა ლიტერატურის განახლება, ხოლო ლიტერატურის ნაწილი საჭიროებდა გადახედვას და განახლებას. მან დამატებით აღნიშნა, რომ ნორმატიული მასალა ზოგიერთ სილაბუსში არ იყო მოცემული. ლევან მოსახლიშვილმა განაცხადა, რომ ექსპერტთა ჯგუფი მოქმედებდა აკრედიტაციის დებულებიდან გამომდინარე, რომლის მიხედვით, თუ ხარვეზის გამოსწორებას სჭირდებოდა ერთ წელზე მეტი სტანდარტი შეიძლება დაიწიოს ნაწილობრივ შესაბამისობამდე, თუმცა მან დამატებით აღნიშნა, რომ მოცემულ შემთხვევაში აღნიშნულს არ ჰქონდა ადგილი.

რაც შეეხება სწავლის მეთოდებს, სილაბუსებიდან გამომდინარე, გათვალისწინებული იყო სემინარი, პრაქტიკული მეცადინეობა, კაზუსის ამოხსნა და ჯგუფური მუშაობა დისკუსიის სახით. შესაბამისად, მისი განმარტებით ბუნებრივი იყო, რომ მოცემული სწავლა-სწავლების მეთოდები ვერ გამოუმუშავებდა სტუდენტს იურისტისთვის საჭირო და აუცილებელ უნარებს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

პროგრამის ხელმძღვანელმა, ვეფხია გვარამიამ აღნიშნა, რომ დაწესებულების მიერ 2018 წლამდე გაფორმებული მემორანდუმები შესაბამისობაში იყო ძველ სტანდარტთან. 2019 წელს შემუშავდა სამართლის დარგობრივი მახასიათებელი, რომელშიც გაწერილი იყო, რომ ზუსტად უნდა ყოფილიყო სტუდენტების რაოდენობა განსაზღვრული. ამის შემდგომ დაწესებულებამ გააფორმა მემორანდუმი ნოტარიუსთა პალატასთან, რომელშიც პირდაპირ იყო გაწერილი, რომ ნოტარიუსთა პალატა დაწესებულების ხუთ სტუდენტს ყოველწლიურად მიიღებდა პრაქტიკაზე. მან ხაზგასმით განაცხადა, რომ დაწესებულებას პრაქტიკული კომპონენტი ჩაშენებული ჰქონდა უნივერსიტეტის სტანდარტში განსხვავებით სხვა უნივერსიტეტებისგან. მან დამატებით აღნინა, რომ დაწესებულებამ პროგრამაში დაამატა პრაქტიკული კომპონენტი, რომელიც არცერთ უნივერსიტეტს არ ჰქონდა, ეს პრაქტიკული კომპონენტი იყო საქმის წარმოება გაეროს სახელშეკრულებლო ორგანოებში და სტრასბურგის სასამართლოში. მან დამატებით აღნიშნა, იქიდან გამომდინარე, რომ დაწესებულებას ფართოდ ჰქონდათ პრაქტიკული კომპონენტები, მემორანდუმებში ჯერ-ჯერობით ეტაპობრივად მიმდინარეობდა შესაბამისი ცვლილებების განხორციელება.

ვეფხია გვარამიამ შრომის ბაზრის კვლევასთან დაკავშირებით განმარტება გააკეთა და განაცხადა, რომ დაწესებულებამ ყველა დამსაქმებელ ორგანოს (შინაგან საქმეთა და იუსტიციის სამინისტროებს, თბილისისა და რუსთავის საქალაქო სასამართლოს და მრავალ კერძო კომპანიას) მიმართა წერილობით და შესაბამისად დაწესებულებამ ყველა დამსაქმებელი ორგანიზაციისგან მიიღო დასკვნა თუ რამდენი სტუდენტი იყო დასაქმებული და რა

წინააღმდეგობას აწყდებოდნენ დამსაქმებლები სამსახურში კადრის აყვანის პროცესში. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოში ბოლო 5 წლის მანძილზე დაწესებულების 25 სტუდენტი დასაქმდა.

მან განაცხადა, რომ მნიშვნელოვანი იყო ასევე სწავლების მეთოდების საკითხი. მან აღნიშნა, რომ სილაბუსები გაჯერებული იყო კაზუსებით და მოიცავდა იმიტირებულ სასამართლო პროცესებსაც. პროგრამის მიხედვით სასწავლო კურსები დაყოფილი იყო სამ დონედ, ესენი იყო თეორიული საგნები, საგნები, რომლებიც ერთგვარ ბაზას წარმოადგენდნენ სხვა სასწავლო კურსებისთვის და პრაქტიკული სასწავლო კურსები. მან ასევე განმარტება გააკეთა ბიუჯეტის ტექნიკურ შეცდომასთან დაკავშირებით და განაცხადა, რომ აღნიშნული ტექნიკური ხარვეზი აუცილებლად იქნება გამოსწორებული.

პროგრამის თანახელმძღვანელმა, ლალი გაბისონიამ აღნიშნა, რომ სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთ-ერთ მისიას წარმოადგენდა ოკუპირებული ტერიტორიებიდან მყოფ სტუდენტებთან ურთიერთობა, სწორედ აქედან გამომდინარეობდა რუსულენოვანი ლიტერატურის არსებობა პროგრამაში.

საბჭოს წევრმა, ელიზბარ ელიზბარაშვილმა კვლავ ყურადღება გაამახვილა რუსულენოვანი ლიტერატურის არსებობაზე პროგრამაში და დამატებით აღნიშნა, რომ მისი მოსაზრებით რუსულენოვანი ფილოლოგიის პროგრამა არანაირ კავშირში არ იყო სამართლის პროგრამასთან. მან დაწესებულების წარმომადგენლებს დამაზუსტებელი კითხვით მიმართა, რომ სწავლება მიმდინარეობდა თუ არა ქართულ ენაზე.

რაზეც დაწესებულების წარმომადგენლები დაეთანხმნენ, რომ სწავლება მიმდინაორებდა ქართულ ენაზე.
ელიზბარ ელიზბარაშვილმა დამატებით განაცხადა რომ საეჭვო იყო თუ რამდენად მიზანშეწინილი და საჭირო იყო რუსულენოვანი სახელმძღვანელოები ამ პროგრამისთვის, მით უფრო საერთაშორისო სამართლის სასწავლო კურსში.

საბჭოს წევრი, ანა ფირცხალაშვილი მიესალმა დამსწრე საზოგადოებას, ანა ფირცხალაშვილმა მიმართა ექსპერტთა ჯგუფს და ციტირება მოახდინა ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებული ერთ-ერთი რეკომენდაციის, სადაც მოცემული იყო რომ მნიშვნელოვანია რიგი სასწავლო კურსების სწავლა-სწავლების მეთოდები გადაიხედოს, შესაბამისად საბჭოს წევრი დაინტერესდა თუ რამდენი და რომელი სასწავლო კურსები იგულისხმებოდა მოცემული რეკომენდაციის მიხედვით. გარდა ამისა, საბჭოს წევრი დაინტერესდა თუ რატომ ჩათვალა ექსპერტთა ჯგუფმა, რომ პროგრამაში ჩართულ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს არ უდასტურდებოდა პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისთვის აუცილებელი ცოდნა, გამოცდილება და კომპეტენცია. საბჭოს წევრი ასევე დაინტერესდა ხომ არ იყო პროგრამაში განსაკუთრებული სასწავლო კურსი ან დარგობრივად განმასხვავებელი მახასიათებელი.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ლევან მოსახლიშვილმა ისაუბრა რიგ სასწავლო კურსებთან დაკავშირებით და განმარტა, რომ დასკვნაში მოყვანილი იყო გარკვეული მაგალითები, თუ რომელ საგნებს ეხებოდა რეკომენდაცია. რაც შეეხება აკადემიური პერსონალის საკითხს, ექსპერტმა აღნიშნა, რომ სტანდარტის მიხედვით, აკადემიურ პერსონალს უნდა უდასტურდებოდეს კვალიფიკაცია კონკრეტულ სასწავლო კურსთან მიმართებით. მათ შორის მაგალითად, თუ ვინმე ასწავლიდა სამართლებრივ ინგლისურს, მას უნდა უდასტურდებოდეს კვალიფიკაცია უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში. ზოგადი კვალიფიკაცია აკადემიური პერსონალს უდასტურდება, თუმცა აქცენტი გაკეთდა სტანდარტის კომპონენტთან

შესაბამისობის დოკუმენტურად დადასტურების თაობაზე. ლევან მოსახლიშვილმა აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფის მიერ აქტიურად მოხდა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი აკადემიური პერსონალის პირადი საქმეების გადახედვა და შესწავლა. მან დამატებით აღნიშნა, რომ აკადემიური პერსონალის ერთ ნაწილს საერთოდ არ უდასტურდებოდა კვალიფიკაცია გარკვეულ მიმართულებებში ბოლო 10 წლის განმავლობაში და შესაბამისად, აღნიშნულის საფუძველზე მოხდა რეკომენდაციის განსაზღვრა. ლევან მოსახლიშვილმა აღნიშნა, რომ ექსპერტებმა უშუალოდ ვიზიტის დროსაც განიხილეს დაწესებულებასთან ადმინისტრაციული პერსონალის კვალიფიკაციის საკითხი. ყოველივე ზემოაღნიშნულმა განაპირობა მოცემული რეკომენდაციის განსაზღვრა. ექსპერტმა ასევე განმარტა, რომ ახალმა დარგობრივმა სტანდარტმა, ადმინისტრაციული სამართალი წარმოადგინა განსაკუთრებულ ჭრილში, სადაც პრაქტიკული უნარების კომპეტენციები გააღვივა, მაგალითად როგორიც არის, ადმინისტრაციული აქტის პროექტის შედგენა. აღნიშნული აღწერდა პროგრამის მიზანს, თუმცა, სასწავლო კურსი, რომელიც მოცემულ შედეგზე უნდა გადიოდეს, როგორიცაა ,,ზოგადი ადმინისტრაციული სამართალი", საჭიროებდა მეთოდების დახვეწას, ვინაიდან კაზუსის ამოხსნის მეთოდით შეუძლებელი იყო აღნიშნულ შედეგზე გასვლა. შესაბამისად, მიზანშეწონილია გადაიხედოს პროგრამის სწავლისა და შედეგის ურთიერთმიმართება, თავისი შესაბამისი მეთოდის გამოყენებით.

პროგრამის ხელმძღვანელმა, ვეფხია გვარამიამ აღნიშნა, რომ სამართლის სფეროში, თბილისის საქალაქო სასამართლო და სსიპ - საქართველოს იუსტიციის სამინისტრო იყვნენ უშალო დამსაქმებლები, ხოლო რიგ ინსტიტუციებს ჰქონდათ იურიდიული დეპარტამენტები. მან აღნიშნა, რომ მნიშვნელოვანი იყო, რომ შრომის ბაზრის კვლევაში ჩართულნი იყვნენ როგორ საჯარო ასევე კერძო ორგანიზაციები. მან განაცხადა, რომ დაწესებულებამ თავისი მიზნიდან გამომდინარე ასევე შრომის ბაზრის კვლევაში ჩართო აფხაზეთის სტრუქტურები.

ვეფხია გვარამიამ აღნიშნა, რომ ეროვნულ გამოცდებზე ერთ-ერთი ალტერნატივაა რუსული ენა. საწყის ეტაპზე უცხო ენა დაწესებულებაში ისწავლებოდა ფილოლოგების მიერ, თუმცა პროფესიულ ჭრილში აღნიშნული სასწავლო კურსს უძღვებოდა იურისტი, რადგან შეუძლებელი იყო იურდიული ტერმინოლოგიის სარჩელისა და სხვა დოკუმენტების შედგენის სწავლება არაიურისტის მიერ. მნიშვნელოვანი იყო ასევე რუსული ლიტერატურის საკითხი, კერძოდ, რიგ სილაბუსებში რუსული სახელმძღვანელოები მითითებული იყო ალტერნატიული ლიტერატურის სახით. რაც შეეხება აკადემიური პერსონალის კომპეტენციის საკითხს, დაწესებულების წარმომადგენელს, რომელიც რუსულ სექტორს ხელმძღვანელობდა ჰქონდათ C1 დონის დამადასტურებელი სერთიფიკატი, შესაბამისად მას გააჩნია კომპეტენცია რუსულ ენაზე ასწავლოს სტუდენტების სამართლებრივი დოკუმენტების შედგენა.

პროგრამის ხელმძღვანელმა ასევე განმარტა, რომ დაწესებულებას გააჩნია აკადემიური პერსონალის შეფასების სისტემა. აკადემიური პერსონალის შესარჩევად კონკურსი ტარდებოდა 6 თვეში ერთხელ. კონკურსანტმა შესარჩევად უნდა გაიაროს საჩვენებელი ლექცია, რომლის ფარგლებშიც კომისიის წევრებს ჰქონდა ქულობრივი შეფასების შესაძლებლობა.

მან განმარტება გააკეთა პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულ განსხვავებულ სასწავლო კურსებთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ პროგრამის მიხედვით გათვალისწინებული იყო ,,ტერიტორიული კონფლიქტების მოგვარების საკითხები კონსტიტუციურ სამართალში" და ასევე ,,იძულებით გადაადგილებულ პირთა სამართალი". რაც შეეხება პრაქტიკულ კურსს, აღსანიშნავია ,,გაეროს სახელშეკრულებო ორგანოები სტრასბურგის სასამართლოში".

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 16:20

დასრულების დრო: 17:55

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:

სააკრედიტაციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე სხდომაზე დაინტერესებული მხარის ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება.

საბოლოოდ დაწესებულებას შესასრულებლად განესაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები:

1. რეკომენდირებულია სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის რიგი სასწავლო კურსების სილაბუსების გადახედვა ლიტერატურის განახლებისა (მაგალითად სამოხელეო სამართალში.) და ნორმატიული მასალის კონკრეტიზაციის მიზნით (მაგალითად სისხლის სამართლის ნაწილი I და ნაწილი II.
2. რეკომენდირებულია სწავლება-სწავლის მეთოდები რიგ სასწავლო კურსებში გადაიხედოს სასწავლო კურსის მიზნისა და შედეგის გათვალისწინებით;
3. რეკომენდირებულია უსდ-მ დანერგოს სტუდენტთა შეფასების გასაჩივრების მოქნილი მექანიზმი, მოახდინოს აღნიშნული მექანიზმის სასწავლო პროცესში ინტეგრირება და აღნიშნულის შესახებ სტუდენტთა ინფორმირება;
4. რეკომენდირებულია პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის შემადგენლობის განახლება, რომელთა კვალიფიკაციაც დადასტურდება პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისთვის აუცილებელი ცოდნის, გამოცდილებისა და კომპეტენციის ქონით;
5.რეკომენდირებულია უნივერსიტეტმა უზრუნველყოს სამეცნიერო პერსონალის სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის შეფასება და ანალიზის პრაქტიკაში განხორციელება;
6. გაძლიერდეს აკადემიური და მოწვეული პერსონალი ჩართულობა და მხარდაჭერა სამეცნიერო, კვლევითი, პროფესიული განვითარების პროგრამებსა და საერთაშორისო გაცვლით პროგრამებში;
7.რეკომენდირებულია სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის როგორც პერსონალს, ასევე სტუდენტებს გააჩნდეთ საკანონმდებლო ბაზასთან უშუალო წვდომის შესაძლებლობა. უნივერსიტეტმა უნდა შეიძინოს „საკანონმდებლო მაცნე“- ს ის ვერსია ან ჩართოს ავტორიზებული მომხმარებლების ის რაოდენობა, რაც საშუალებას მისცემს მომხმარებლებს დამოუკიდებლად და შეუფერხებლად ისარგებლონ ვებ-გვერდის სერვისებით, როგორც უნივერსიტეტიდან, ისე უნივერსიტეტის ფარგლებს გარედან;
8. რეკომენდირებულია შემუშავდეს აკადემიური პერსონალის შეფასების ეფექტური მექანიზმი და შესაბამისად განხორციელდეს შედეგების ანალიზი.

რჩევები:

1.სასურველია საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები ასევე ასახავდეს, თუ რა წვლილი შეაქვს პროგრამას დარგისა და საზოგადოების განვითარებაში;
2. სასურველია, უნივერსიტეტმა შეიმუშაოს პროგრამის ინტერნაციონალიზაციის სტრატეგია, რომელიც ასახავს უშუალოდ პროგრამისკენ მიმართული ინტერნაციონალიზაციის საკითხს და მისი განვითარების კონკრეტულ გეგმებს. ამ თვალსაზრისით, უნივერსიტეტს ექნება მკაფიო ხედვა და სტრატეგია პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე უშუალოდ პროგრამის ინტერნაციონალიზაციის განვითარების კუთხით და უფრო ეფექტურად მოახდენს შესაბამისი

აქტივობების განხორციელებას ჩამოყალიბებული სტრატეგიისა და დაგეგმილი ეტაპების შესაბამისად, ასეთის არსებობის შემთხვევაში;
3. სასურველი იქნება დამსაქმებლებთან ისეთი მემორანდუმების და შეთანმხებების გაფორმება/განახლება, რომელიც გაითვალისწინებს სტუდენტთა სავარაუდო რაოდენობას, მიმართულებებსა და დასაქმების სავარაუდო ხანგძლივობას;
4. სასურველია სასწავლო კურსების სილაბუსებში დეტალურად გაიწეროს შეფასების ზუსტი და მკაფიო კრიტერიუმები ანუ შეფასების მეთოდის საზომი ერთეულები, რითაც უზრუნველყოფილი იქნება სწავლის შედეგების ადეკვატური, გამჭვირვალე და სამართლიანი შეფასების სისტემა, რომელიც ხელს შეუწყობს სტუდენტების აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებას;
5. სასურველია სტუდენტებს ელექტრონულად ჰქონდეთ წვდომა ლიტერატურასა და ნორმატიულ მასალებზე;
6. სასურველია უშუალოდ პროგრამისთვის გამოყოფილი რესურსის გაზრდა საერთაშორისო მივლინების, სტუდენტთა გაცვლითი პროგრამაში მონაწილეობის დაფინანსების, ღონისძიებების დაფინანსების ნაწილში;
7.სასურველია პერიოდულად განხორციელდეს პროგრამის დადარება უცხოური უნივერსიტეტების ანალოგიურ პროგრამებთან. პროგრამის თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, გამოიყენება საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკა.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის „სამართლის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის პირობითი აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 2

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის ,,ბ" ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-3^2 პუნქტი, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-3^2 ქვეპუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხ ლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, მე-4 პუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის, შესაბამისად, სსიპ - სოხუმის სახელწიფო უნივერსიტეტის „სამართლის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა პირობითი აკრედიტაცია 2 წლის ვადით.

მესამე საკითხი:შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის „სამართლის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	

1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	სამართალი
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების თარიღი,ნომერი და ვადა	პროგრამა აკრედიტებულია 11.11.2011, №276 გადაწყვეტილებით.
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობა	-
8	კვალიფიკაციის დონე	მეექვსე
9	კვალიფიკაციის დასახელება	სამართლის ბაკალავრი Bachelor of Laws (LLB)
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება	სამართალი, 0421
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	ირინა ენუქიძის N3 (აღმაშენებლის ხეივანი მე-1 3კმ), თბილისი, 0159, საქართველო. თამარ მეფის ქუჩა N60, ბათუმი, მახინჯაური, 6000, საქართველო.
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მესამე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ვახტანგ ჟვანიამ აღნიშნა, რომ დაწესებულებაში ექსპერტთა ვიზიტი შედგა 2021 წლის 17 – 18 თებერვალს ონლაინ პლატფორმა zoom - ის მეშვეობით. ექსპერტები შეხვდნენ შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის რექტორს, ფაკულტეტის დეკანს, ადმინისტრაციულ პერსონალს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელს, პროგრამის ხელმძღვანელს და პროგრამის თვიშეფასების ჯგუფს, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს, დამსაქმებლებს, სტუდენტებს და კურსდამთავრებულებს. ვიზიტის განმავლობაში ექსპერტებმა შექმნილი ვითარების გათვალისწინებით, ვიდეოზარის მეშვეობით დაათვალიერეს მატერიალურ-ტექნიკური ბაზა.
შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის „სამართლის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა ასე შეფასდა:

პირველისტანდარტი _ საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მეორესტანდარტი _ სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მესამესტანდარტი _ სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა -შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მეოთხესტანდარტი _ სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მეხუთესტანდარტი _ სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:

1.დარგობრივი უცხო ენა დაემატოს როგორ სავალდებულო კომპონენტი, უმჯობესი იქნება თუ მოხდება მისი შესწავლა ორი სემესტრის განმავლობაში;
2. პროგრამაში თავისუფალი კრედიტების რაოდენობა შემცირდეს 35 დან, მაქსიმუმ 25 კრედიტამდე;
3. საგნები: ,,კრიმინოლოგია“, ,,კრიმინალისტიკის საფუძვლები“ და ,,გამოძიების საფუძვლები“ სავალდებულო ბლოკიდან გადავიდეს არჩევით ნაწილში;
4. პროგრამას სავალდებულო კომპონენტად დაემატოს შესავალი საკონსტიტუციო სამართალში;
5.,,ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები“ უნდა მოხდეს ძირითადი ლუტერატურის განახლება;
6.,,ადამიანის ძირითადი უფლებების და თავისუფლებების სილაბუსში კონკრეტული უფლებების კონსტიტუციური ნუმერაცია შესაბამისობაში მოვიდეს კონსტიტუციის მოქმედ ტექსტთან;
7. საგანში ,,საკონსტიტუციო კონტროლი და სამართალწარმოება“ აუცილებელი განახლდეს სავალდებულო ლიტერატურა;
8.,,საქართველოს საკონსტიტუციო (სახელმწიფო მოწყობის) სამართლის“ სილაბუსში აუცილებელია დაკონკრეტდეს ისწავლება თუ არა სახელმწიფო ფინანსები და კონტროლი, ასევე სახელმწიფო თავდაცვა და უსაფრთხოება;

9. საჯარო სამართლის რეპეტიტორიუმში საკონსტიტუციო სამართალთან და ადამიანის ძირითადი უფლებების და თავისუფლებების თემატიკასთან დაკავშირებული სავალდებულო ლიტერატურა საჭიროებს განახლებას;
10. საჯარო სამართლის რეპეტიტორიუმის სილაბუსსა და ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების სილაბუსში აღმოიფხვრას გადაფარვის პრობლემა;
11. ,,ელექტრონული ხელშეკრულება და მისი სამართლებრივი რეგულირების" სილაბუსის შინაარსი ჩამოყალიბდეს საგნის სათაურის შესაბამისად;
12. მემორანდუმების ტექსტში განისაზღვროს კონკრეტული დაწესებულების მიერ სავარაუდოთ პრაქტიკის გასავლელად მისაღები სტუდენტების რაოდენობა;
13. სილაბუსების შეფასების ნაწილი ჩამოყალიდბეს მარტივად აღსაქმელად, ჩაიშალოს კომპონენტებად, კერძოდ: შუალედური შეფასება, რომელიც შედგება შუალედური გამოცდისა და აქტივოვებისაგან და ასევე ფინალური შეფასება. თითოეულ კომპონენტს მიენიჭოს შესაბამისი მაქსიმალური ქულა და დეტალურად ჩაიშალოს შეფასების კრიტერიუმები.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

დაწესებულები რექტორმა, მამუკა თავხელიძემ მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს კონსტრუქციული ვიზიტისთვის და ისაუბრა პირველ რეკომენდაციასთან დაკავშირებით, კერძოდ აღნიშნა, რომ უცხო ენა ისწავლებოდა სავალდებულო წესით B2 დონის ჩათვლით, მაგრამ პროფესიული უცხო ენა, რომელიც თავისუფალი კომპონენტით იყო წარმოდგენილი, არ ცვლიდა სწავლის შედეგს, თუმცა მან აღნიშნა, რომ დაწესებულება მზაობას გამოთქვამდა აღნიშნული რეკომენდაციის გასათვალისწინებლად.

მამუკა თავხელიძემ, განმარტება გააკეთა მე-2 რეკომენდაციასთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ კრედიტების შემცირება უნდა მოხდეს ცალკეული დისციპლინის კრედიტების შემცირების ხარჯზე, რადგან თავად დისციპლინები ემსახურებოდა საქართველოს კანონის მოთხოვნებს და უნივერსიტეტის მისიის რეალიზებას. მინისტრის ბრძანების მიხედვით, რეგულირებად პროფესიებში არანაკლებ 75 კრედიტი უნდა იყოს სპეციალობის სასწავლო კურსებში. პროგრამიდან გამომდინარე, მაპროფილებელი საგნებისთვის განსაზღვრული იყო 205 კრედიტი, რაც პროცენტულად 85,5%-ია. განათლების შესახებ კანონის მიხედვით, უმაღლესი განათლების მიზანია: ქართული და მსოფლიო კულტურის ღირებულებების ჩამოყალიბებისათვის ხელშეწყობა, დემოკრატისა და ჰუმანიზმის იდეალებზე ორიენტაცია, რომელიც აუცილებელია სამოქალაქო საზოგადოების არსებობისა და განვითარებისათვის. მან დამატებით აღნიშნა, რომ პროგრამის მიხედვით, თავისუფალი სასწავლო კურსების სავალდებულო ბლოკი გულისხმობდა უცხო ენას, ,,აკადემიურ წერას", ,,საინფორმაციო ტექნოლოგიებს" და ,,ზოგად მათემატიკურ უნარებს", რომლებიც სულ შეადგენდნენ 20 კრედიტს. რაც შეეხება თავისუფალი სასწავლო კურსების არჩევით კომპონენტებს, აღნიშნული მოიცავდა პროფესიულ უცხო ენას, ,,ზეპირი და წერითი ეტიკეტი სოციალურ ურთიერთობებში", რაც წარმოადგენდა აკადემიური წერის გაღრმავებას და ასევე იყო არჩევითი სასწავლო კურსის შემოთავაზებული პარტნიორი უნივერსიტეტების მიერ. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ კულტურულ-ისტორიული ბლოკი გულისხმობდა ქართული და უცხოური ღირებულებების ჩამოყალიბების ხელშეწყობას. მოცემულ ბლოკში მოიაზრებოდა მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობა და ქართული კულტურა, ,,საქართველოს ცივილიზაციის ისტორია", ასევე ,,ჰოლოკოსტის ისტორია" და ,,ხელოვნების თეორია". აღნიშნული სასწავლო კურსებიდან სტუდენტმა უნდა აირჩიოს მხოლოდ ერთი, ხუთი კრედიტი. გარდა აღნიშნულისა, ასევე გათვალისწინებული იყო სოციალური მიმართულების ბლოკი, რომელიც გულისხმობდა ,,ფილოსოფიური აზროვნების სოციალურ პარადიგმებს", ,,დემოკრატიასა და მოქალაქეობას" და ,,სამოქალაქო საზოგადოებასა და სახელმწიფოს", აღნიშნული სასწავლო კურსებიდან

სტუდენტმა ასევე უნდა აირჩიონ 5 კრედიტი. რომელიმე ბლოკის მოხსნა კი გულისხმობდა კანონმდებლობით მოთხოვნილი მიზნების უგულებელყოფას.

რაც შეეხება ,,კრიმინოლოგიასა“ და ,,კრიმინალისტიკის საფუძვლებს“, აღნიშნული დისციპლინების არსებობა განპირობებული იყო ბაზრის მოთხოვნით და უნივერსიტეტის პრიორიტეტული რესურსებით. კერძოდ, ბაზარზე გამომძიებლის მომზადებისთვის არ არსებობდა სპეციალური საგანმანათლებლო პროგრამა, შესაბამისი ორგანოების საშტატო განრიგით კი ასეთი პროფესიის საშტატო ერთეული გათვალისწინებული იყო, ამდენად დაწესებულებამ გადაწყვიტა უნივერსიტეტის მისიიდან გამომდინარე, შეევსოთ ეს ნიშა და ხელი შეეწყოთ სახელმწიფო სპეციალური ორგანოებისთვის ამ პროფესიის სპეციალისტების მომზადებას, მით უფრო, ამისთვის უნივერსიტეტს გააჩნდა დიდი ხნის ტრადიცია, უნიკალური ტექნიკურ-ტექნოლოგიური ბაზა და ადამიანური რესურსი და რაც მთავარია სტუდენტთა მაღალი ინტერესი.

დაწესებულების რექტორმა, მამუკა თავხელიძემ ასევე ისაუბრა მე-13 რეკომენდაციასთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ შეფასების მეთოდები და კრიტერიუმები შესაბამისად იყო წარმოდგენილი სილაბუსებსა და სხვა მარეგულირებელ დოკუმენტებში, სადაც დეტალურად იყო ახსნილი შეფასების სისტემა. თუმცა, თუ ზოგიერთ სილაბუსში არ იყო დაზუსტებული შეფასების მაქსიმალური ქულა, ცხადია, შესწორდებოდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს თავმჯდომარემ, ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანმა, ისაუბრა შრომის ბაზრის კვლევასთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ როგორც საბაკალავრო, ისე სამაგისტრო პროგრამაზე წარმოდგენილი იყო ერთი და იგივე 80 ორგანიზაციის გამოკვლევა. საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა თუ რამდენად რელევანტურია ორ სხვდასხვა საფეხურზე წარმოდგენილი იყოს ერთი და იგივე შრომის ბაზრის კვლევა.

საბჭოს წევრმა, გიორგი ღაღანიძემ აღნიშნა, რომ გარდა იმისა, რომ როგორც საბაკალავრო, ასევე სამაგისტრო საფეხურზე წარმოდგენილი იყო ერთი და იგივე შრომის ბაზრის კვლევა, აღნიშნული ჩატარებული იყო 2018 წელს.

საბჭოს წევრმა, გიორგი ღაღანიძემ, ასევე ისაუბრა საბაკალავრო პროგრამის ბიუჯეტთან დაკავშირებით და აღნიშნა რომ მოცემული ციფრები ერთმანეთს არ ემთხვეოდა, შესაძლოა აღნიშნული იყოს ტექნიკური ხასიათის შეცდომა, თუმცა საჭიროებდა გამოსწორებას.

საბჭოს წევრმა, მაკა კაჭარავამ ისაუბრა პირველ რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ პროგრამის მიხედვით, უცხო ენის კომპონენტი შეთავაზებული იყო თავისუფალ არჩევით კომპონენტებში, სადაც მოცემული იყო 20 კრედიტი და შეთავაზებული იყო 5 საგანი. იმ შემთხვევაში თუ სტუდენტმა აირჩია არა უცხოენოვანი საგნები, მას მხოლოდ პირველი უცხო ენის არჩევის საშუალება ექნებოდა. გარდა ამისა, ,,პროფესიული ინგლისური ენა“ ასევე არჩევით ბლოკში იყო და მოიცავდა მხოლოდ 5 კრედიტს, შესაბამისად, გამოდის, რომ როდესაც საგანს ჰქონდა მინიჭებული ასეთი სტატუსი და შეთავაზებული იყო არჩევითი საგნები, იყო რისკი, რომ სტუდენტი დარჩეს ამ კომპეტენციის გარეშე. საბაკალავრო დონის მოთხოვნის შესაბამისად, სტუდენტმა მე-4 კურსზე უნდა დააფიქსიროს ენობრივი კომპეტენციის ცოდნა B2 დონეზე, აქედან გამომდინარე, მოცემული სტატუსით შეიძლება ვერ მოხერხდეს აღნიშნული კომპეტენციის მიღწევა.

მაკა კაჭარავამ აღნიშნა, რომ დამატებით დოკუმენტაციაში წარმოდგენილი იყო რომ დაწესებულებას ჩატარებული ჰქონდა ბენჩმარკინგი ესპანურ უნივერსიტეტთან, რაც ძალიან მისასალმებელი იყო. შეფასება განხორციელდა კომპონენტების მიხედვით. ერთ-ერთ კომპონენტს წარმოადგენდა სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის შედარება, რომელიც აღნიშნული იყო როგორც სრულად შესაბამისი. იმის საფუძვეზე, როდესაც პროგრამით არ იყო გათვალიწინებული საბაკალავრო ნაშრომი. გარა ამისა, აკადემიური წერა გათვალისწინებული იყო არჩევით სასწავლო კურსად, რომელიც სტუდენტმა შეიძლება ვერ აირჩიოს. საბჭოს წევრი დაინტერესდა ბენჩმარკინგის საფუძველზე მოხდა თუ არა უნივერსიტეტთან მემორანდუმის გაფორმება.

საბჭოს წევრმა გაიოზ ფირცხალაძემ საინფორმაციო ტექნოლოგიებთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე საკმაოდ მრავლად იყო ლიტერატურა. ძირითად ლიტერატურად განსაზღვრული მხოლოდ ერთი სახელმძღვანელო, თავად კურსის ხელმღვანელის ავტორობით, რომელიც იყო ელექტრონული სახით. რაც შეეხება სტუდენტების მიღებას, საბჭოს წევრი დაინტერესდა თუ რა სტრატეგია ჰქონდა ამ კუთხით დაწესებულებას.

საბჭოს წევრმა, ანა ფირცხალაშვილმა, ყურადღება გაამახვილა ,,კრიმინოლოგიისა“ და ,,კრიმინალისტიკის საფუძვლების“ სილაბუსებზე და განმარტა, რომ დარგობრივი მახასიათებელი ადგენდა მინიმალურ ზღვარს რაც სტუდენტმა უნდა იცოდეს და რომელიც უნდა განხორციელდეს 180 კრედიტის ფარგლებში. თუმცა შესაძლებელი იყო ამ კუთხით კრედიტების გაზრდა. პროგრამის შინაარსის მიხედვით, არ არსებობდა მოცემული სასწავლო კურსების არარსებობის საფუძველი. სამართალი არის მკაცრად რეგულირებული სფერო, შესაბამისად აკადემიური თავისუფლების ფარგლებში, არჩევანის თავისუფლებას უტოვებდა დაწესებულებას.

საბჭოს წევრმა, ნინო ჭალაგანიძემ ისაუბრა ბაზრის კვლევასთან დაკავშრებით და აღნიშნა, რომ კითხვის ნიშნის ქვეშ იდგა თუ რამდენად რელევანტური იყო რამოდენიმე საფეხურზე ერთი და იგივე შრომის ბაზრის კვლევა. კვლევის ფარგლებში აღინიშნა, რომ გამოიკითხა 58 ორგანიზაცია, შესაბამისად, საბჭოს წევრი დაინტერესდა თუ რა ორგანიზაციები იყვნენ ჩართულნი შრომის ბაზრის კვლევაში.

საბჭოს წევრმა, ეკატერინე ნაცვლიშვილმა აღნიშნა, რომ გაეცნო პროგრამის სწავლის მეთოდებს და გამოყო ერთ-ერთი, კერძოდ სინქრონული ონლაინ სწავლება. შესაბამისად საბჭოს წევრი დაინტერესდა, გამოიყენებოდა თუ არა აღნიშნული მეთოდი პანდემიამდე, თუ მისი დამკვიდრება სწორედ რომ პანდემიით იყო გამოწვეული.

18:55 საათზე საბჭოს სხდომა დატოვა საბჭოს თავმჯდომარემ, ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანმა. აკრედიტაციის

დებულების 27[2]-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, ნინო იმნაძემ.

საბჭოს თავმჯდომარემ, ნინო იმნაძემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა, ვახტანგ ჟვანიამ განმარტა, რომ ერთი სემესტრის განმავლობაში, როგორც კონსტიტუციონალიზმის ზოგადი პრინციპების, ისე საქართველოს საკონსტიტუციო სამართლის შესწავლა იყო საკმაოდ რთული. ვიანიდან ვერ მოხდებოდა

საქართველოს საკონსტიტუციო სამართლის სწავლება ზოგადი პრინციპების ცოდნის გარეშე, ორივე სასწავლო კურსი უნდა იყოს სავალდებულო. ასევე აღსანიშნავია, რომ პროგრამას სავალდებულო კომპონენტში არ იყო კონსტიტუციური სამართალწარმოება, რომელიც დარგობრივი ჩარჩოს მიხედვით სავალდებულო იყო. ვახტან ჟვანიამ დამატებით განმარტა, რომ ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებული რეკომენდაციები განვითარებაზე ორიენტირებული იყო უნივერსიტეტისთვის, რათა პროგრამა მომავალში ყოფილიყო მეტად სრულყოფილი.

ვახტანგ ჟვანიამ განმარტა, რომ ზოგადად იურიდიული ტერმინოლოგია, განსაკუთრებით კი უცხოენოვანი ტერმინოლოგია სპეციფიკური ხასიათის იყო, შესაბამისად, სტუდენტი, რომელიც კვლევისკენ იყო ორიენტირებული და მას საწყის საფეხურზე ექნებოდა დარგობრივი ენის დაუფლების შესაძლებლობა ეს იქნებოდა უნივერსიტეტის მხრიდან სტუდენტში ჩადებული ინვესტიცია.

ვახტანგ ჟვანიამ განმარტება გააკეთა საბაკალავრო ნაშრომთან დაკავშირებით და განაცხადა, იქიდან გამომდინარე, რომ კანონმდებლობით აღნიშნული ვალდებულებას არ წარმოადგენდა, საკითხი რჩევის სახით იქნა განსაზღვრული, რადგან ძალიან კარგი იქნებოდა თუ სტუდენტს პირველივე საფეხურზე ექნებოდა შესაძლებლობა ნაბიჯები გადაედგა კვლევითი მიმართულებით.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

პროგრამის ხელმძღვანელმა, ზურაბ ძლიერიშვილმა აღნიშნა, რომ საჯარო სამართლის მოდულში პირდაპირ იყო მითითებული ,,საკონსტიტუციო კონტროლი და სამართალწარმოება“ როგორც სავალდებულო სასწავლო კურსი, რომელიც ისწავლებოდა მე-6 სემესტრში და მოიცავდა 5 კრედიტს. შესაბამისად ექსპერტთათვის მიწოდებულ დოკუმენტაციაში დიდი ალბათობით იყო ტექნიკური ხარვეზი, რადგან ,,საკონსტიტუციო კონტროლი და სამართალწარმოება: წარმოადგენდა სავალდებულო საგანს.

პროგრამის ხელმძღვანელმა ასევე ისაუბრა უცხო ენის კომპონენტთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ დაწესებულებას არაფერი ჰქონდა საწინააღმდეგო იმისა, რომ ინგლისური და გერმანული ენა გამხდარიყო სავალდებულო კომპონენტი, თუმცა დაწესებულებას წარმოდგენილი ჰქონდა ინტერდისციპლინური მოდული, რომელიც იყო სავალდებულო და მოიცავდა 20 კრედიტს. აღნიშნული მოდული სავალდებულოდ ითვალისწინებდა ორ საგანს, უცხო ენა 1 და უცხო ენა 2, რომელიც ჯამში მოიცავდა 10 კრედიტს.

ზურაბ ძლიერიშვილმა განმარტება გააკეთა ,,კრიტიკულ აზროვნებასა“ და ,,აკადემიურ წერასთან“ დაკავშირებით და განაცხადა, რომ დაწესებულებისთვის სრულიად მისაღები იყო სახელის შეცვლა, კერძოდ, რომ განისაზღვროს როგორც ,,აკადემიური წერა იურისტებისთვის“. მოცემული ასევე წარმოადგენდა სავალდებულო საგანს, რომლის გავლის გარეშეც სტუდენტი ვერ მიიღებდა ბაკალავრის ხარისხს. აკადემიური წერის კომპონენტი როგორც გაღრმავება წარმოდგენილია არჩევითი სასწავლო კურსის სახით.

მან დამატებით განმარტა, რომ პროგრამის შემუშავებისას გათვალისწინებული იქნა სამართლის დარგობრივი მახასიათებლები, შესაბამისად, ვინაიდან საბაკალავრო ნაშრომი არ წარმოადგენდა სავალდებულო მოთხოვნას, აქედან გამომდინარე, საკითხები, რომელსაც მოიცავდა აღნიშნული საკითხი ინტეგრირებული იქნა სხვადასხვა სასწავლო კურსებში.

ზურაბ ძლიერიშვილმა, განმარტება გააკეთა ,,კრიმინოლოგიასა“ და ,,კრიმინალისტიკას“, საკითხთან მიმართებით და აღნიშნა, რომ სრულიად შეიძლება იყოს გაზიარებული ექსპერტთა რეკომენდაცია და მოხდეს მათი არჩევითი სასწავლო კურსების სახით განსაზღვრა. უნივერსიტეტი გამოირჩევა თანამედროვე კრიმინალისტიკის ლაბორატორიით, სადაც ტარდებოდა ალტერნატიული ექსპერტიზები არაერთ გახმაურებულ სისხლის სამართლის საქმეზე.

მან აღნიშნა, რომ დაწესებულება აქტიურად იყო ჩართული აბიტურიენტების მოზიდვაში, კერძოდ უნივერსიტეტში ფუნქციონირებდა თინ აკადემია სხვადასხვა მიმართულებით, რომელიც ცოდნასთან ერთად აწვდიდა აბიტურიენტს ინფორმაცის პროგრამასთან დაკავშირებით.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ უნივერსიტეტის გააჩნდა ძალიან დიდი აკადემიური რესურსი. აკადემიური პერსონალი, რომელიც დასაქმებული იყო უნივერსიტეტში ჩართული იყო კონკრეტული სამართლის დარგის განვითარებაში და სწავლებაც მიმდინარეობდა მათი სახელმძღვანელოების მეშვეობით.

მან ყურადღება გაამახვილა შრომის ბაზრის კვლევასთან დაკავშირებულ საკითხებზე, კერძოდ დაწესებულების ყველა სკოლაში მოქმედებდა დამსაქმებელთა და კურსდამთავრებულთა კომიტეტი. კვლევა, რომელიც წარმოდგენილი იყო დანართის სახით შედგებოდა ორი ნაწილისგან, დასაქმების ბაზრის კვლევა წარმოდგენილი იყო წინა პერიოდით, თუმცა მეორე ნაწილი, რომელიც კურსდამთავრებულებთან და დამსაქმებელთან ჩატარებულ კვლევას ასახავდა იყო ახალი ჩატარებული.

საბჭოს წევრმა, გიორგი ღაღანიძემ აღნიშნა, რომ შრომის ბარის კვლევა ჩატარებული იყო 2018 წელს, შესაბამისად დაინტერესდა თუ რამდენად რელევანტური იყო აღნიშნული კვლევა 2021 წელს. გარდა ამისა რამდენად შესაძლებელია ერთ კვლევაში, იდენტური კითხვებით გამოკვლეული იყოს ორი პროგრამა.

დაწესებულების რექტორმა, მამუკა თავხელიძემ განმარტა, რომ ბაზრის კვლევას დაწესებულება ყოვლ წელს არ აწარმოებდა, რადგან აღნიშნული დაკავშირებული იყო გარკვეულ ხარჯებთან, შესაბამისად კვლევა ხორციელდებოდა ორ წელიწადში ერთხელ. დაწესებულება სრულიად იზიარებდა საბჭოს წევრის შენიშვნას მოცემულ საკითხთან მიმართებით.

პროგრამის ხელმძღვანელმა, ზურაბ ძლიერიშვილმა ისაუბრა ბიუჯეტში არსებულ ხარვეზზე და განმარტა, რომ სამიზნე ნიშნულები გაკეთებული იყო 200 სტუდენტზე, თუმცა შენიშვნა სრულიად მისაღებია და მოხდებოდა ხარვეზის აღმოფხვრა.

პროგრამის ხელმძღვანელმა ასევე აღნიშნა, რომ ახალ პროგრამაში გათვალისწინებული იყო სინქრონული ონლაინ სწავლება, თუმცა მსგავსი პრეცენდენტები დაწესებულებაში მანამდეც არსებობადა შშმ პირების ხელშეწყობის მიზნით. რაც შეეხება ბენჩმარკინგს, აღსანიშნავია, რომ პროგრამა იზიარებდა ესპანური, პოლონური, ფრანგული და გერმანული უნივერსიტეტების გამოცდილებას.

სხდომის თავმჯდომარე დაინტერესდა აქვს თუ არა უნივერსიტეტს შემუშავებული მექანიზმები პლაგიატის წინააღმდეგ.

დაწესებულების რექტორმა, მამუკა თავხელიძემ აღნიშნა, რომ უნივერსიტეტს ჰქონდა პლაგიატის პროგრამა, რომელიც საკმაოდ აქტიურად გამოიყენებოდა, თუმცა არა ბაკალავრიატის, არამედ მაგისტრატურისა და დოქტორანტურის საფეხურზე.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 19:15

დასრულების დრო: 19:45

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:

სააკრედიტაციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე სხდომაზე დაინტერესებული მხარის ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ სრულად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება.

საბოლოოდ დაწესებულებას შესასრულებლად განესაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები:

1.დარგობრივი უცხო ენა დაემატოს როგორ სავალდებულო კომპონენტი, უმჯობესი იქნება თუ მოხდება მისი შესწავლა ორი სემესტრის განმავლობაში;
2. პროგრამაში თავისუფალი კრედიტების რაოდენობა შემცირდეს 35 დან, მაქსიმუმ 25 კრედიტამდე;
3. პროგრამას სავალდებულო კომპონენტად დაემატოს შესავალი საკონსტიტუციო სამართალში;
4. ,,ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები“ უნდა მოხდეს ძირითადი ლუტერატურის განახლება;
5. ,,ადამიანის ძირითადი უფლებების და თავისუფლებების სილაბუსში კონკრეტული უფლებების კონსტიტუციური ნუმერაცია შესაბამისობაში მოვიდეს კონსტიტუციის მოქმედ ტექსტთან;
6. საგანში ,,საკონსტიტუციო კონტროლი და სამართალწარმოება“ აუცილებელი განახლდეს სავალდებულო ლიტერატურა;
7.,,საქართველოს საკონსტიტუციო (სახელმწიფო მოწყობის) სამართლის“ სილაბუსში აუცილებელია დაკონკრეტდეს ისწავლება თუ არა სახელმწიფო ფინანსები და კონტროლი, ასევე სახელმწიფო თავდაცვა და უსაფრთხოება;
8. საჯარო სამართლის რეპეტიტორიუმში საკონსტიტუციო სამართალთან და ადამიანის ძირითადი უფლებების და თავისუფლებების თემატიკასთან დაკავშირებული სავალდებულო ლიტერატურა საჭიროებს განახლებას;
9. საჯარო სამართლის რეპეტიტორიუმის სილაბუსსა და ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების სილაბუსში აღმოიფხვრას გადაფარვის პრობლემა;
10. ,,ელექტრონული ხელშეკრულება და მისი სამართლებრივი რეგულირების“ სილაბუსის შინაარსი ჩამოყალიბდეს საგნის სათაურის შესაბამისად;
11. მემორანდუმების ტექსტში განისაზღვროს კონკრეტული დაწესებულების მიერ სავარაუდო პრაქტიკის გასავლელად მისაღები სტუდენტების რაოდენობა;

12. სილაბუსების შეფასების ნაწილი ჩამოყალიდბეს მარტივად აღსაქმელად, ჩაიშალოს კომპონენტებად, კერძოდ: შუალედური შეფასება, რომელიც შედგება შუალედური გამოცდისა და აქტივოვებისაგან და ასევე ფინალური შეფასება. თითოეულ კომპონენტს მიენიჭოს შესაბამისი მაქსიმალური ქულა და დეტალურად ჩაიშალოს შეფასების კრიტერიუმები.

რჩევები:

1. თავისუფალი კრედიტის ფარგლებში სტუდენტს უფრო მეტი, სხვადასხვა საფეხურის (A1; A2; B1; B2) უცხო ენის არჩევის შესაძლებლობა უნდა მიეცეს, რათა მარტივად შეძლოს პროფესიული უცხო ენის შესწავლა;
2. რეპეტიტორიუმების მოდულის საგნების (საჯარო, კერძო და სისხლის სამართალი) კრედიტების მოცულობა შემცირდეს 7 კრედიტიდან 5 კრედიტამდე;
3. პროგრამას არჩევით კომპონენტად უნდა დაემატოს საბაკალავრო ნაშრომი და ასევე აკადემიური კვლევის კომპონენტი;
4. სასურველი იქნება, თუ საგანს - „კრიტიკული აზროვნება და აკადემიური წერა“ შეეცვლება სახელწოდება, ან პროგრამას დაემატება სავალდებულო საგნის სტატუსით „აკადემიური წერა იურისტებისათვის“;
5. იმის გათვალისწინებით, რომ აკადემიური/სამეცნიერო პერსონალის თანაფარდობა მოწვეულ პერსონალთან შეადგენს 62/48, ხოლო ბოლო წლების განმავლობაში აკადემიური პერსონალის დენადობის მაჩვენებელი შეადგენს 11,7%, მაშინ როდესაც მოწვეული პერსონალის მაჩვენებლი 19.2% პროცენტით განისაზღვრება, მიზანშეწონილია პროგრამის ეფექტური, სტაბილური განხორციელებისათვის გათვალისწინებული იქნეს მითითებული ფაქტორი და გაიზარდოს აკადემიური პერსონალის რაოდენობა მოწვეულ პერსონალთან მიმართებით;
6. სასურველია აქცენტი გაკეთდეს აკადემიური პერსონალის მიერ სამეცნიერო ნაშრომთა საერთაშორისო რეპუტაციულ ჟურნალებში გამოქვეყნების მიმართულებით;
7. უსდ-ს ბიუჯეტიდან მოხდეს გამოყოფა/თვალსაჩინოდ გაწერა დაფინანსების, აკადემიური/მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარებისათვის ან/და მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელების ხელშეწყობის მიზნით;
8. მიზანშეწონილია, უნივერსიტეტმა გააქტიუროს (შეიძინოს) საკანონმდებლო მაცნეს დამატებით რამდენიმე მომხმარებელი, რაც საშუალებას მისცემს აკადემიურ პერსონალს და სტუდენტებს დაუბრკოლებრივ ერთობლივად ისარგებლონ ვებ-გვერდის სერვისებით, როგორც უნივერსიტეტიდან, ასევე მის ფარგლებს გარეთ.
9. საგნები: ,,კრიმინოლოგია“, ,,კრიმინალისტიკის საფუძვლები“ და ,,გამოძიების საფუძვლები“ სავალდებულო ბლოკიდან გადავიდეს არჩევით ნაწილში;

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის „სამართლის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის 7 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი, 1 წელში ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 14
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი, მე-2 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-3^1 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-3^1 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლ

ის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის „სამართლის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით, 1 წელიწადში ანგარიშის წარმოდგენით.

მეოთხე საკითხი: შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის „სამართლის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	სამართალი
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების თარიღი,ნომერი და ვადა	პროგრამა აკრედიტებულია 10.11.2012, №674 გადაწყვეტილებით.
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობა	-
8	კვალიფიკაციის დონე	მეშვიდე
9	კვალიფიკაციის დასახელება	სამართლის მაგისტრი Master of Laws (LLM)
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება	სამართალი, 0421
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120 კრედიტი
14	განხორციელების ადგილი	ირინა ენუქიძის N3 (აღმაშენებლის ხეივანი მე-1 ჯკმ), თბილისი, 0159, საქართველო.
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ აკრედიტაციის საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა

აკრედიტაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ არა

საბჭოს/სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს/სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეოთხე საკითხის ზეპირი მოსმენა

საბჭოს თავმჯდომარემ, ნინო იმნაძემ სიტყვა გადასცა ექსპერტთა ჯგუფს საგანმანათლებლო პროგრამასთან მიმართებით დასკვნაში დაფიქსირებული შეფასებების საბჭოს წევრებისთვის გაზიარების მიზნით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ვახტანგ ჟვანიამ აღნიშნა, რომ დაწესებულებაში ექსპერტთა ვიზიტი შედგა 2021 წლის 17 – 18 თებერვალს ონლაინ პლატფორმა zoom - ის მეშვეობით. ექსპერტები შეხვდნენ შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის რექტორს, ფაკულტეტის დეკანს, ადმინისტრაციულ პერსონალს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელს, პროგრამის ხელმძღვანელს და პროგრამის თვიშეფასების ჯგუფს, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს, დამსაქმებლებს, სტუდენტებს და კურსდამთავრებულებს. ვიზიტის განმავლობაში ექსპერტებმა შექმნილი ვითარების გათვალისწინებით, ვიდეოზარის მეშვეობით დაათვალიერეს მატერიალურ-ტექნიკური ბაზა.

შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის „სამართლის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა ასე შეფასდა:

პირველისტანდარტი _ საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მეორესტანდარტი _ სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მესამესტანდარტი _ სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა -შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მეოთხესტანდარტი _ სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მეხუთესტანდარტი _ სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:

1. საგანი „ექსპერტოლოგია“ ამოღებულ იქნას პროგრამიდან;
2. საგანი „გამოძიების კრიმინალისტიკური მეთოდოლოგია“ ამოღებულ იქნას პროგრამიდან;
3. პროგრამაში განსაზღვრულ საგანს „კვლევის მეთოდები“ სილაბუსის შესაბამისად სახელწოდებად განესაზღვროს „კვლევის მეთოდები სამართალში“;

4. „კვლევის მეთოდები სამართალში“ უნდა იყოს პროგრამით გათვალისწინებული სავალდებულო საგნების ჩამონათვალში და არა თავისუფალ კომპონენტად შეთავაზებული დისციპლინა;
5. საგანი „პრობლემური სემინარი“ ამოღებულ იქნას პროგრამიდან;
6. აუცილებელია სილაბუსების შინაარსი ჩამოყალიბდეს იმდაგვარად, რომ თავიდან იყოს აცილებული შინაარსობრივი ნაწილის გადაფარვის საკითხი. მაგ: „ადამიანის უფლებათა პოლიტიკური, ეთიკური და სამართლებრივი ასპექტები“ და „ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები“. საგანი „საგადასახადო სამართალი და სასამართლო პრაქტიკა“ და საბაკალავრო პროგრამით განსაზღვრული „საგადასახადო სამართლის“ კურსი. „საოჯახო და მემკვიდრეობითი სამართლის ინოვაციები და სასამართლო პრაქტიკის აქტუალური საკითხები“ და საბაკალავრო პროგრამით გათვალისწინებული კურსი - „საოჯახო და მემკვიდრეობითი სამართალი. „საკონსტიტუციო კონტროლის პრობლემები და სასამართლო პრაქტიკა“;
7. „შედარებითი კერძო სამართალი“, „შედარებითი სანივთო სამართალი“ და „შედარებითი საკორპორაციო სამართალი“ სავალდებულო ლიტერატურის ნაწილში დაემატოს უცხოური ლიტერატურა;
8. მემორანდუმების ტექსტში განისაზღვროს კონკრეტული დაწესებულების მიერ სავარაუდო პრაქტიკის გასავლელად მისაღები სტუდენტების რაოდენობა;
9. სილაბუსების შეფასების ნაწილი ჩამოყალიბდეს მარტივად აღსაქმელად, წაიშალოს კომპონენტებად, კერძოდ: შუალედური შეფასება, რომელიც შედგება შუალედური გამოცდისა და აქტივობებისგან და ასევე ფინალური შეფასება. თითოეულ კომპონენტს მიენიჭოს შესაბამისი მაქსიმალური ქულა და დეტალურად წაიშალოს შეფასების კრიტერიუმები.
10. მიზანშეწონილია, უნივერსიტეტმა გააქტიუროს (შეიძინოს) საკანონმდებლო მაცნეს დამატებით რამდენიმე მომხმარებელი, რაც საშუალებას მისცემს აკადემიურ პერსონალს და სტუდენტებს დაუბრკოლებლივ ერთობლივად ისარგებლონ ვებ-გვერდის სერვისებით, როგორც უნივერსიტეტიდან, ასევე მუს ფარგლებს გარეთ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

დაწესებულების რექტორმა, მამუკა თავხელიძემ ციტირება მოახდინა ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებული მე-4 რეკომენდაციის: „კვლევის მეთოდები სამართალში“ უნდა იყოს პროგრამით გათვალისწინებულ სავალდებულო საგნების ჩამონათვალში და არა თავისუფალ კომპონენტად შეთავაზებული დისციპლინა“ და განმარტა, რომ პროგრამის სტრუქტურის ფორმირების დროს პროგრამის კომიტეტი ხელმძღვანელობდა საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის №69/ნ ბრძანების დანართ 2-ის მე-6 მუხლის მე-5 პუნქტით, სადაც აღნიშნული იყო, რომ თავისუფალი კომპონენტი მოიცავდა ზოგადი, ტრანსფერული უნარების განვითარების ხელშეწყობაზე ორიენტირებულ სასწავლო კურსს/საგანს/მოდულს. მან დამატებით განმარტა, რომ აღნიშნულ პუნქტზე დაყრდნობით კვლევის მეთოდები სამართალში სწორედ იყო თავისუფალი კომპონენტების ჯგუფში განთავსებული.

მამუკა თავხელიძემ მე-5 რეკომენდაციასთან მიმართებით წარმოადგინა პოზიცია და განაცხადა, რომ კურსი ,,პრობლემური სემინარი“ ფორმირებული იყო ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოსა და სამართლის მახასიათებლის მოთხოვნების საფუძველზე, სადაც განსაზღვრული იყო, რომ სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლების მეთოდოლოგია ორიენტირებული უნდა იყოს კვლევაზე, რომელსაც წინ უნდა უძღოდეს კვლევითი კომპეტენციის განმავითარებელი კურსები. კვლევითი კომპონენტი გამჭოლად უნდა გასდევდეს პროგრამას, ხოლო სწავლის შედეგების ნაწილში მოცემული იყო, რომ პროგრამის

დასრულების შემდეგ სტუდენტი ავლენდა უახლოესი ინფორმაციის ავტონომიურად მოძებნისა და სამართლის სფეროში სწავლის დამოუკიდებლად წარმართვის უნარს. კურსის სპეციფიკა არ ითვალისწინებდა ლექციათა ციკლის წაკითხვას. ასეთ შემთხვევაში ის ჩვეულებრივი დისციპლინა იქნებოდა. აქ მოცემული იყო თემატიკა, რომელსაც ირჩევდა სტუდენტი და ამ თემის ფარგლებში ლექტორი კითხულობდა მიმოხილვით ლექციას, ხოლო სტუდენტმა დამოუკიდებლად უნდა იმუშაოს მასალაზე და გამოკვეთოს პრობლემა, განახორციელოს გარკვეული კვლევა და წარადგინოს მოხსენების სახით აკადემიური ჯგუფის წინაშე. აღნიშნული სასწავლო კურსი ასრულებდა კვლევითი კომპეტენციის განმავითარებელ ფუნქციას. დაწესებულება თვლის, რომ ეს კომპონენტი მიიჩნევა პროგრამის ინოვაციურ მახასიათებლად და სამართლის დარგობრივი მახასიათებლის მოთხოვნებზე ორიენტირებულ სასწავლო დისციპლინად, შესაბამისად მისი ამოღება მიუღებელი იყო. მან დამატებით აღნიშნა, რომ აღნიშნული საგრძნობლად შეასუსტებდა პროგრამის სამეცნიერო-კვლევითი უნარების განვითარებასთან დაკავშირებულ ერთიან სისტემას, რომელსაც ითხოვდა სამართლის დარგობრივი მახასიათებელი.

მე-6 რეკომენდაციასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ აღნიშნული დისციპლინების თვით სათაურიც კი მიუთითებდა, რომ შინაარსი განსხვავებული იყო და როგორც ეს სამაგისტრო პროგრამისთვის იყო დამახასიათებელი საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში ჩამოყალიბებული ცოდნა მომდევნო საფეხურზე ან შინაარსობრივად ღრმავდება, ან განსხვავებული ასპექტით წარმოდგება.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრმა, გიორგი ღაღანიძემ ისაუბრა სამაგისტრო პროგრამის ბიუჯეტთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ 19 000 ლარი იყო გათვალისწინებული სამეცნიერო კვლევებზე, ბიუჯეტის 6.13%. საბჭოს წევრმა დააზუსტა თუ რამდენად შესაბამისი იყო მოცემული მაჩვენებელი და როგორ არის შესაძლებელი ამ თანხებით სამეცნიერო კვლევების განხორციელება. გარდა ამისა დაინტერესდა არსებობდა თუ არა დაფინანსების სხვა მექანიზმები.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების რექტორმა, მამუკა თავხელიძემ განმარტა, რომ პროგრამის ბიუჯეტში გაწერილი იყო სარეზერვო ფონდი, სადაც ყველა პროგრამიდან მიდიოდა გარკვეული თანხები. უნივერსიტეტში ასევე ფუნქციონირებდა სამეცნიერო კვლევებისა და შემოქმედებითი ინიციატივის ფონდი, რომელსაც ხელმძღვანელობდა თავისი კომიტეტი. სტუდენტს და ასევე ლექტორს, რომელსაც სურდა პროექტის განხორციელება, შესაძლებლობა აქვს შეიტანოს პროექტი, რომელსაც შემდგომ განიხილავს კომიტეტი და გამოაქვს დასკვნა.

საბჭოს წევრმა, ნინო ჭალაგანიძემ, აღნიშნა, რომ უახლესი აქტივობები დათარიღებული იყპ 2018 წლით, ნუსხაში ასევე ხვდებოდა 2011 წლის ღონისძიებებიც შესაბამისად, საბჭოს წევრი დაინტერესდა თუ რა იყოს ამის მიზეზი.
მამუკა თავხელიძემ განმარტა, რომ მრავალი სტატია და წიგნი იყო მომზადებული, თუმცა ჯერ-ჯერობით გამოცემის პროცესში იყო. მან განაცხადა, რომ სტატიები გაგზავნილი იყო სამეცნიერო ჟურნალებში, მაგრამ გამოქვეყნებისთვის გარკვეული დრო იყო საჭირო.

საბჭოს წევრმა, მარიამ შენგელიამ, აღნიშნა, რომ ,,კომუნიკაციის“ სილაბუსში ყველა ლიტერატურა იყო ინგლისურენოვანი, შესაბამისად, ხომ არ შეუქმნიდა აღნიშნული სტუდენტს პრობლემას, მაშინ როცა პროგრამაზე დაშვების წინაპირობად არ იყო მოცემული კონკრეტული უცხო ენა. გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ სამაგისტრო ნაშრომების სათაურები ემთხვეოდა ერთმანეთს.

დაწესებულების რექტორმა, მამუკა თავხელიძემ ისაუბრა ,,კომუნიკაციის“ სილაბუსთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ მოცემულ თემატიკას მორგებული სახელმძღვანელოები ქართულ ენაზე არ გვხვდებოდა, თუმცა ლექტორი საკითხს ხსნიდა ქართულ ენაზე. სასწავლო კურსი იყო სრულიად პრაქტიკული და მიმართული კომუნიკაციის უნარების ჩამოყალიბებაზე. რაც შეეხება ნაშრომების სათაურების მსგავსებას, აღნიშნული დაწესებულებაში ხშირად წარმოადგენდა განხილვის საგანს, თუმცა საბოლოოდ გადაწყდა, რომ სტუდენტი არ უნდა შეიზღუდოს თემატიკის არჩევაში.

საბჭოს წევრმა, თამარ ჩხეიძემ მიმართა დაწესებულებას კითხვით იყო თუ არა დაწესებულების ვებ გვერდზე ინფორმაცია პროგრამის შესახებ განახლებული.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ვებ-გვერდზე განთავსებული იყო ძველი პროგრამა, რადგან ჯერ არ მომხდარა ახალი პროგრამის აკრედიტაცია.

საბჭოს წევრმა, თეონა მატარაძემ აღნიშნა, რომ ,,კვლევის მეთოდები სამართალში“ სილაბუსში ძირითადად მითითებული იყო აკადემიური წერის ლიტერატურა.

საბჭოს წევრმა, ანა ფირცხალაშვილმა აღნიშნა, რომ ექსპერტების მითითებით, საგნები, ,,ექსპერტოლოგია“, ,,კრიმინალისტიკის საფუძვლები“ უმჯობესია ამოღებული იქნას პროგრამიდან, შესაბამისად საბჭოს წევრი დაინტერესდა თუ რამ განაპირობა აღნიშნული რეკომენდაცია. რაც შეეხება ,,პრობლემურ სემინარს“ მასთან დაკავშირებული პრობლემები შესაძლებელია მოგვარდეს შემდეგნაირად, ყოველი სემესტრის დასაწყისში, განმახორციელებელმა პერსონალმა უნდა გადაწყვიტოს თუ რა არის სამართლის აქტუალური საკითხები. საგნობრივად სასწავლო კურსი არის საკმაოდ საინტერესო და უნდა იყოს დაფუძნებული აქტუალურ საკითხებზე.

დაწესებულების რექტორმა, მამუკა თავხელიძემ აღნიშნა, რომ კვლევის მეთოდების სილაბუსში არსებული ლიტერატურის საკითხი აუცილებლად გადაიხედებოდა. რაც შეეხება ,,პრობლემურ სილაბუსს“, დაწესებულებას გეგმაში არ ჰქონდა სილაბუსის ყოველწლიურად განახლება თუმცა აუცილებლად მოხდებოდა სილაბუსის დახვეწა და აქტუალურ საკითხებზე მორგება.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ვახტანგ ჟვანიამ აღნიშნა, რომ სრულიად იზიარებდა საბჭოს წევრთა მიდგომას ,,პრობლემურ სემინართან“ დაკავშირებით. რეკომენდაცია გამომდინარეობდა იქიდან, რომ შეუძლებელი იყო სილაბუსის შინაარსის განსაზღვრა. რაც შეეხება კრიმინალისტიკასთან დაკავშირებულ საკითხებს, ლიტერატურა ისევე როგორც საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების სილაბუსები საკამოდ მჭიდრო კავშირშია ერთმანეთთან, რაც წარმოადგენდა რეკომენდაციის განსაზღვრის საფუძველს.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 20:25

დასრულების დრო: 20:58

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:

სააკრედიტაციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე სხდომაზე დაინტერესებული მხარის ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება და დაამატა ერთი რჩევა.

საბოლოოდ დაწესებულებას შესასრულებლად განესაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები:

1. საგნები „ექსპერტოლოგია“ და „გამოძიების კრიმინალისტიკური მეთოდოლოგია“ მოდიფიცირებული იქნეს იმგვარად, რომ მათი შედეგები იყოს სამართლის დარგობრივი მახასიათებლის მიერ სამაგისტრო პროგრამის მიღწევად შედეგებს.
2. პროგრამაში განსაზღვრულ საგანს „კვლევის მეთოდები“ სილაბუსის შესაბამისად სახელწოდებად განესაზღვროს „კვლევის მეთოდები სამართალში“;
3. „კვლევის მეთოდები სამართალში“ უნდა იყოს პროგრამით გათვალისწინებული სავალდებულო საგნების ჩამონათვალში და არა თავისუფალ კომპონენტად შეთავაზებული დისციპლინა;
4. საგანი პრობლემური სემინარი მოდიფიცირდეს იმგვარად, რომ ყუველი სემესტრის დასაწყისში მასში შევიდეს სამართლის სფეროს განვითარების უახლესი, და პრობლემატური საკითხები. საკითხების ჩამონათვალი კი განსაზვრულ იქნეს კოლეგიალურად პროგრამაში ჩართული პერსონალის მიერ.
5. აუცილებელია სილაბუსების შინაარსი ჩამოყალიბდეს იმდაგვარად, რომ თავიდან იყოს აცილებული შინაარსობრივი ნაწილის გადაფარვის საკითხი. მაგ: „ადამიანის უფლებათა პოლიტიკური, ეთიკური და სამართლებრივი ასპექტები“ და „ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები“. საგანი „საგადასახადო სამართალი და სასამართლო პრაქტიკა“ და საბაკალავრო პროგრამით განსაზღვრული „საგადასახადო სამართლის“ კურსი. „საოჯახო და მემკვიდრეობითი სამართლის ინოვაციები და სასამართლო პრაქტიკის აქტუალური საკითხები“ და საბაკალავრო პროგრამით გათვალისწინებული კურსი - „საოჯახო და მემკვიდრეობითი სამართალი. „საკონსტიტუციო კონტროლის პრობლემები და სასამართლო პრაქტიკა“;
6. „შედარებითი კერძო სამართალი“, „შედარებითი სანივთო სამართალი“ და „შედარებითი საკორპორაციო სამართალი“ სავალდებულო ლიტერატურის ნაწილში დაემატოს უცხოური ლიტერატურა;
7. მემორანდუმების ტექსტში განისაზღვროს კონკრეტული დაწესებულების მიერ სავარაუდო პრაქტიკის გასავლელად მისაღები სტუდენტების რაოდენობა;
8. სილაბუსების შეფასების ნაწილი ჩამოყალიბდეს მარტივად აღსაქმელად, წაიშალოს კომპონენტებად, კერძოდ: შუალედური შეფასება, რომელიც შედგება შუალედური გამოცდისა და აქტივობებისგან და ასევე ფინალური შეფასება. თითოეულ კომპონენტს მიენიჭოს შესაბამისი მაქსიმალური ქულა და დეტალურად წაიშალოს შეფასების კრიტერიუმები.
9. მიზანშეწონილია, უნივერსიტეტმა გააქტიუროს (შეიძინოს) საკანონმდებლო მაცნეს დამატებით რამდენიმე მომხმარებელი, რაც საშუალებას მისცემს აკადემიურ პერსონალს და სტუდენტებს დაუბრკოლებლივ ერთობლივად ისარგებლონ ვებ-გვერდის სერვისებით, როგორც უნივერსიტეტიდან, ასევე მუს ფარგლებს გარეთ.

რჩევები:

1. სასურველია სამაგისტრო პროგრამას არჩევითი კურსის სტატუსით დაემატოს შესაბამისი დონის უცხო ენა;
2. სასურველია, უსდ-მ გააძლიეროს კვლევის პროცესში სტუდენტებისგან უკუკავშირის მიღება იმის თაობაზე, თუ რამდენად კმაყოფილნი არიან ისინი სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელთან მუშაობით;
3. იმის გათვალისწინებით, რომ აკადემიური/სამეცნიერო პერსონალის თანაფარდობა მოწვეულ პერსონალთან შეადგენს 62/48, ხოლო ბოლო წლების განმავლობაში აკადემიური პერსონალის დენადობის მაჩვენებელი შეადგენს 11,7%, მაშინ როდესაც მოწვეული პერსონალის მაჩვენებლი 19.2% პროცენტით განისაზღვრება, მიზანშეწონილია პროგრამის ეფექტური, სტაბილური განხორციელებისათვის გათვალისწინებული იქნეს მითითებული ფაქტორი და გაიზარდოს აკადემიური პერსონალის რაოდენობა მოწვეულ პერსონალთან მიმართებით;
4. სასურველია აქცენტი გაკეთდეს აკადემიური პერსონალის მიერ სამეცნიერო ნაშრომთა საერთაშორისო რეპუტაციულ ჟურნალებში გამოქვეყნების მიმართულებით;
5. უსდ-ს ბიუჯეტიდან მოხდეს გამოყოფა/თვალსაჩინოდ გაწერა დაფინანსების, აკადემიური/მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარებისათვის ან/და მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელების ხელშეწყობის მიზნით;
6. ბიუჯეტში გამოიკვეთოს სამეცნიერო კვლევების დაფინანსების საკითხი;

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის „სამართლის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის 7 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი, 1 წელში ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 14
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-3^1 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის მე-3 პუნქტის, მე-3^1 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის „სამართლის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით, 1 წელიწადში ანგარიშის წარმოდგენით.

დამტკიცებული დღის წესრიგით განსაზღვრული საკითხების განხილვის შემდეგ სხდომა დახურულად გამოცხადდა 21:10 საათზე.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭო
თავმჯდომარე
ზედგინიძე-ჯიშკარიანი ნათია

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო
თავმჯდომარის მოადგილე
იმნაძე ნინო

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭო
საბჭოს მდივანი
შენგელია მარიამ

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი / უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო
სხდომის მდივანი
ნაცვლიშვილი ეკატერინე